ოლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

კომუნისტი

წელიწადი მეორე

ს. კ. პ.
ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი:
თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღიაა ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.
ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76 მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მანეთი
პროვინციაში 12,000 მანეთი

92 ხუთშაბათი, 27 აპრილი 1922 წ. ყოველდღიური გაზეთი ხუთშაბათი, 27 აპრილი 1922 წ. № 92

უთშაბათს, 27 აპრილს, დღის 2 საათზე
ქალაქის აღმასკომის თავმჯდომარის კაბინეტში შესდგება

საბჭოს ფრაქციის ბიუროს სხდომა

ყველა წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.

თბილისის კომიტეტის მდივანი ლოლობერიძე.

(1—1)

ფინანსების გაჯანსაღებისათვის

ფინანსების გაჯანსაღების საფუძ ელია საერთოდ მთელი ეკონომიუ ი ცხოვრების აღორძინება, როგორც ეწველობის, ისე სასოფლო მეურ ობის განვითარება, რაც შეიძლება ტი ნივთიერ ღირებულებათა შე ნა. მაგრამ თვით მიზან-შეწონილ ინანსიურ ტეხნიკურ ღონისძიებებს ავის მხრივ უდიდესი მნიშვნელობა ვთ ქვეყნის ეკონომიკის გამოსაცო ლებლად.

„ძველი“ ეკონომიური პოლიტიკა სებითად ფარავდა ფინანსიური ოლიტიკას, რამდენადაც სახელმწი ო თავის მოთხოვნილებებს უშთავ სად ნატურით აკმაყოფილებდა და ულის ტრიალი ფრიად იყო შეზღუ ული.

ახალ პირობებში სახელმწიფოს ერ თავის მოთხოვნილებათა ნატუ თ დაკმაყოფილება სულ უფრო ირდება და ფულის ნიშნების გა ყენებას ენიჭება ფართე სარბიელი. გრამ რომ ფულის ტრიალის მექა ზმით შესაძლებელი გახდეს სახელ წიფოს მომარაგება, საჭიროა ფულს ეცეს მტკიცე ღირებულება, არამც უ უნდა შევაჩეროთ მისი გაია ება, არამედ ავსწიოთ მისი მსყიდვე ობითი ძალა და ხელი შეუწყოთ ფა ების სტაბილიზაციას. ამ მიზნის მი ღწევად ჩვენი ცდა უნდა იყოს მი რთული იქითკენ, რათა დავამყა ოთ ერთგვარი წონასწორობა სა ელმწიფოს შემოსავალ-გასავალ შო ის, რამდენადაც ამის საშუალებას ძლევა ჩვენი ობიექტიური რთული და ძიმე სინამდვილე. თორემ თუ ჩვეუ ებრივად გავაგრძელეთ გაცილებით ეტის ხარჯვა, ვინემ შემოსავალი ემოგვდის, ფინანსების გაჯანსაღე აზე ლაპარაკიც შეუძლებელია. ნორ ალურ ბიუჯეტის შესაქმნელად ერთ თავარ პირობად უნდა ჩაითვალოს ახელმწიფო აპარატის უფრო გა არტივება და სასტიკი ანგარი იანობის, ეკონომიის, მომჭირნეობის აცვა. არავისთვის არ შეადგენს საი უმლოებას, რომ ჩვენი სახელმწიფო პარატი ძალზე გაბერილია და მო ამსახურეთა შტატი მრავალრიცხო ანი. ერთხელ კიდევ მოვახდინეთ ტატების შემცირება, შედეგი აქე ან საგრძნობი მივიღეთ, მაგრამ არც სე დიდი, როგორც ეს შესაძლებე ელი და საჭირო იყო. ამ ჟამად აწარ ოებს მუშაობას ც. ა კომიტეტის აგანგებო კომისია, რომლის მიზანი აბჭოთა აპარატის რეორგანიზაცია და შტატების მაქსიმალური შემცირება. ამ კომისიის მუშაობის შედეგად ჩვენ უნდა მივიღოთ იაფი გამარტივებულ სახელმწიფო ორგანოების და იმდენი მუშა-მოსამსახურის დატოვება, ურომლისოდ მართლაც არ შეუძლია სახელმწიფოს არსებობა. ამას, გარდა იმისა, რომ ჩვენში უკვე საკმაოდ ფეხმოკიდებული ბიუროკრატიზმი შესუსტდება, ის დიდი მნიშვნელობა ექნება, რომ სახელმწიფოს ხარჯები საგრძნობლად შემცირდება. მეორე მხრივ ჩვენ სათანადო ყურადღება უნდა მივაქციოთ დატოვებულ სახელმწიფო დაწესებულების და წარმოებათა ხარჯების საკითხს. ისინი არ უწევენ შესაფერ ანგარიშს არსებულ რესურსებს და ერთობ გადაჭარბებულ მოთხოვნებს უყენებენ სახელმწიფო ხაზინას. მათი მადა უნდა იქნეს შეზღუდული და ხარჯთ აღრიცხვა მაქსიმალური ეკონომიით გამოანგარიშებული. ამასთან ადგილობრივი ორგანოებისათვის ზოგიერთი ხარჯების გაღება უნდა მოეხსნას სახელმწიფოს ხაზინას და ეს ხარჯები ადგილობრივი საშუალებებით დაიფაროს. ამასთან სახელმწიფოს განკარგულებაში დატოვებულ წარმოებათა და მამულების ექსპლოატაცია უნდა მოვაწყოთ რაციონალურად და გავხადოთ ისინი მოგების წყაროდ. ჩვენ სახელმწიფო ქონება საკმაოდ მოგვეპოვება და საქმის რიგიანად დაყენება-წარმართვა მნიშვნელოვან შემოსავალს მოგვცემს.

მაგრამ სახელმწიფო წარმოება, მამულების შემოსავალი, რა რიგ იდეალურად არ უნდა მოვაგვაროთ აქ საქმე, რა თქმა უნდა, ოდნავადაც ვერ დაფარავს სახელმწიფოს მრავალმხრივი მოთხოვნილებებს. ჩვენ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ საგადასახადო აპარატის და სისტემის მოწყობა გაძლიერებას. დღევანდელ პირობებში მთავარ ადგილს იჭერს არაპირდაპირი დაბეგვრა, ამასთან პირდაპირი გადასახადიც წარმოებასა და ვაჭრობაზე, ხოლო საგადასახადო აპარატის უფრო კარგად მოწყობასთან ერთად სიმძიმის ცენტრი გადატანილ იქნება პირდაპირი დაბეგვრის სისტემაზე, აქ განსაკუთრებული სისასტიკით უნდა დაიბეგროს ფუფუნების საგნები. ზედმეტია ჩვენი მხრით იმის აღნიშნა, რომ პირდაპირი დაბეგვრა აწვება შეძლებულ კლასებს და მისგან თავისუფალია საზოგადოების მშრომელი, ღარიბი ნაწილი.

გარდა ამისა, სახელმწიფო ფინანსების გაჯანსაღების ერთ მთავარ საშუალებათაგანს წარმოადგენს ვაჭრობის განვითარება, როგორც შინაურ, ისე საგარეო ვაჭრობის. ჩვენ უნდა დავამზადოთ საკმაო ნედლი მასალა უცხოეთთან ვაჭრობის გასაახლებლად. ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი პირობები ამის საშუალებას იძლევა. ჩვენი საქმიანობა ამ სფეროში რამდენიმედ გამოასწორებს სავაჭრო ბალანსს, ფულის კურსს განამტკიცებს, და უცხოეთიდანაც მივიღებთ საჭირო საგნებს. ვაჭრობასთან დაკავშირებით ფართედ უნდა მოეწყოს საკრედიტო ოპერაცია და აქ სახელმწიფო ბანკს დიდი სამოღვაწეო ასპარეზი ეშლება.

სახელმწიფო აპარატის უაღრესად გამარტივება, შტატების უკიდურესობამდე შემცირება, რაც თავის თავად გამოიწვევს ხარჯების შემცირებას, სახელმწიფო წარმოებათა და ქონების მიზანშეწონილი, მომგებიანი ექსპლოატაცია, საგადასახადო სისტემის და მოქნილი საგადასახადო აპარატის შემოღება-მოწყობა, სავაჭრო ტრიალის გაფართოვება-განვითარება—აი ზოგიერთი ღონისძიებანი, რომელნიც ხელს შეუწყობენ ჩვენი ფინანსების გაჯანსაღებას. საუკეთესო, მცოდნე და გამოცდილი ძალები უნდა ჩავაბათ ფინანსიურ საქმეებში, რომელნიც ჩამოთვლილ და სხვა ზომებს სათანადოდ და დროულად გაატარებენ ცხოვრებაში. ფინანსების გამოკეთების საკითხი უდიდესი საქმეა მთელი ჩვენი სამეურნეო აღორძინებისთვის, და ამიტომ ამ საქმისათვის არ უნდა დავიშუროთ ჩვენი ძალები და ენერგია.

რუსეთის ემიგრაცია და გენუის კონფერენცია*)

კადეტები.

როგორც მემარჯვენე (გაზეთ „რულიდან“), ისე მემარცხენე კადეტები („პოსლედნიე ნოვოსტიდან“) ყველა ერთნაირათ ანთხევენ გესლს ბოლშევიკებისა და მუშურ გლეხური რუსეთის წინააღმდეგ, რომლის წარმომადგენლები არიან ისინი გენუის კონფერენციაზე. ჯერ შეეცადნენ ეს ჯგუფები დაერაზმათ მთელი კონტრრევოლიუციონური ემიგრაცია და ამ გზით გავლენა მოეხდინათ ევროპის პოლიტიკურ წრეებზე ბოლშევიკების იზოლიაციის მოსახდენათ. დღეს ისინი დარწმუნდნენ თავის „მოღვაწეობის“ უნაყოფობაში და მისცემიან მწარე მოგონებას „ბაბილონის მდინარეების ნაპირებზე“.

უკანასკნელი, შეიძლება ითქვას, სასოწარკვეთილებით ნაჩქარევი ნაბიჯი მოკავშირეების „ჭკუაზე მოსაყვანათ“ სცადეს კადეტებმა ცნობილი დეპეშის შემდეგ შეერთებული შტატების უარის თქმის შესახებ გენუის კონფერენციაში მონაწილეობის მიღებაზე. ამ „პატრიოტებს“ შესწევდათ უტიფრობა აშკარათ გამოეცხადებიათ ურცხვათ (ქაღალდი ყოველისფერს ითმენს!) „რუსის ხალხის სახელით“ მადლობა ამერიკისათვის მისი პოლიტიკის გამო, რომელიც მიმართული იყო კონფერენციის და რუსეთსა და ევროპას შორის შეთანხმების ჩასაშლელათ. ბოლშევიკების პოლიტიკა, რომელიც მდგომარეობს რუსეთის მშრომელი ხალხის და ფართო მასების (არა მარტო მუშების) ინტერესების დაცვაში, ეს პოლიტიკა ხვდება წინააღმდეგობას ამ გახუნებული „პატრიოტებისას“. საინტერესოა როგორ დაიცავდნენ თვითონ ისინი რუსეთის ინტერესებს გენუაში, რომ დაეშვათ კონფერენციაზე? ნაწილ ნაწილ და ბითუმათ გაყიდიდნენ „ძვირფას სამშობლოს“. ჩვენი წინააღმდეგობა, რომელსაც ვუწევთ იმპერიალისტებს, ეჩვენება ამ ხალხს სასაცილოთ და „რულს“, რომელიც არ სცნობს კონფერენციას, მაგალითად შეძლო დაეწერა: „თუ ასეთ საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნილი ქვეყნის წინაშე იშლება პესპექტივები ევროპის დახმარების, (ცხადია პირველი მოვალეობა ასეთი ქვეყნის მთავრობის უნდა ყოფილიყო ხარბათ გაქცეულიყო გამოწვდილი ხელისკენ... (და დაეკოცნა კეთილისმყოფელ ანტანტის ხელი, უნდოდა ეთქვა ალბათ კადეტების ოფიციოზს). საბჭოთა მთავრობა კი, იმის მაგიერ, რომ დახქარებით გაეშუროს კონფერენციაზე, პირობებს უყენებს ევროპას. ნუ თუ ეს სიგიჟე არ არის?—კითხულობს „რული“.

ჩვენი სიგიჟე მდგომარეობს მხოლოთ იმაში, რომ მივდივართ გენუაში, როგორც თანასწორ უფლებიანი მხარე, მაშინ, როდესაც ისინი, მემარჯვენე კადეტები და სხ. წავიდოდნენ გენუაში როგორც სხვისი პოლიტიკური ლაქიები და მონები.

ესერები.

ბ. ბ. აქსენტიევის, კერენსკისა და კომპანიის ჯგუფებმა კარგი ხანია რაც დ ჰკარგეს სამოქალაქო ომის გზაზე თავის სოციალისტური ტვირთი და ახლა არაფრით არ განსხვავდებიან „გლეხური დემოკრატი“ მილიუკოვისაგან, რომელთანაც ორგანიზაციულადაც არიან შეკავშირებული ეგრედ წოდებულნი „დამფუძნებელი კრების კომიტეტში“. ბ. ბ. მილიუკოვმა და აქსენტიევმა კიდევაც გამოაქვეყნეს ერთათ პროტესტი „უმაღლესი საბჭოს მიერ კანაში მიღებული გეგმის“ წინააღმდეგ, რომელსაც თვლიდნენ „დღეს რუსეთში არსებულ ტირანიასთან შეთანხმებათ რუსეთის ხალხის საექსპლოატაციოთ უცხოეთის კაპიტალის სასარგებლოთ“. თვით მენშევიკებმაც ვერ მოითმინეს და დასწერეს „სოციალისტიჩესკი ვესტნიკში“: „რუსეთის დემოკრატიის ბელადები“, რომლებიც ამერიკაში „აჭახრაკებენ“ (ესერ კადეტების პროტესტი გამოქვეყნებულ იქნა ნიუ იორკში. ერდე) რაიმონდ პუანკარეს და მის მსგავს შავ პიროვნებათა საქმეებს—ეს ხომ ჭკუის მასწავლებელი სანახაობაა“ო!

მაგრამ ჩერნოვის მომხრეებმაც იგივე სამარი ტონი აიღეს და აშინებდნენ მოკავშირეებს იმავე მუქარით, როგორითაც კადეტები. მათივე მსგავსათ ესერები, ბოლოს და ბოლოს, თავს იმით ინუგეშებდნენ, რომ „გენუა არ იქნება საერთაშორისო პოლიტიკის იმ ნასკვათ, საიდანაც დასაწყისი მიეცემა ახალ ერას“ და რომ „მომავალმა კონფერენციამ უკვე საკმაოთ დაკარგა ის შარავანდედი დიდი ისტორიული ამბის, რომლითაც ის იყო შემოსილებული მასში დაინტერესებული მხარეების იმედითა და შიშით“. არ იქნება ნასკვი? მაგრამ რატომ არ იქნება? საეჭვოა, რომ შავრაზმელებს პასუხი გაეცათ ამ კითხვაზე. საერთოთ უნდა ითქვას, რომ მიუხედავათ მათი მოურიდებლობისა, ჩერნოვებს გამბედაობა მაინც არ შესწევთ ბოლომდის ჩამოაყალიბონ თავისი აზრი და მათი ლაყბობა „გოლოს როსსიი“-ში ბოლშევიკების „ცნობა“ თუ „არ ცნობის“ შესახებ დაცინვას იწვევს თვით კადეტებისა და მენშევიკების პრესაში, კომუნისტებისაზე რომ სრულიადაც არ ვილაპარაკოთ.

თვით მკითხველმა განსაჯოს!

ესერები წერენ: „ჩვენ არ გვინდა ავტეხოთ ამჟამათ დავა იმ კითხვის ირგვლივ, რომელიც შეეხება რუსეთის ფორმალურათ ცნობას. ჩვენ არასოდეს არ ვაძლევდით მას დიდ მნიშვნელობას. ყველა ეს ფორმალური მხარეები დიპლომატიური ეტიკეტის, ცნობის, ნახევრათ ცნობის, ცნობის დე ფაქტო ან დე-იურე, ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაღელვებდა“. კიდევ მეტი: ესერები მზად არიან მხარი დაუჭირონ ცნობას „რუსეთის დახმარების საქმე რამოდენიმეთ მაინც წაიწევს წინ ამ საკითხში შეთანხმებით“. ამის შემდეგ თითქოს ცხადი უნდა იყოს: ესერები მომხრე არიან ცნობის. არა? მაგრამ ცოტა მოითმინეთ, ნუ გეჩქარებათ ასეთი დასკვნის გამოყვანა. ქვევით ისინი აცხადებენ: „ჩვენ არ შეგვიძლია და არც შევიძლია შუამდგომლებათ გამოვიდეთ მოსკოვის სოვნარკომის საქმეებში, ჩვენ არ შეგვიძლია მოვიყვანოთ არგუმენტი მათ ახლავე ცნობის სასარგებლოთ (სად გაქრა „უშუალო დახმარება რუსეთის ხალხისთვის“—ჰეი! ერდე) თუ არა ირონიული შენიშვნით იმას შესახებ, რომ ხომ მაინც უნდა იცნოს ბოლოს და ბოლოს ანტანტამ ის (აჰა!) და დღევანდელი მისი მანჭობას, „მსგავსათ ჩარექა ღვინის შემყურე ალკოგოლიკისა“, ის მიზანი აქვს მხოლოთ, რომ ბოლშევიკების მთავრობამ დიდი „[illegible] გაიღოს“ და მასთან მოლაპარაკების დროს დათმობის გზას დაადგეს“.

„ამნაირათ პასუხის მაგიერ (ცნობა თუ არ ცნობა) „ირონიული სიტყვა, როგორც ეს ჩერნოვს სჩვევია“—დაცინვის კილოთი ახასიათებს ჩერნოვის პოზიციის მილიუკოვის ოფიციოზს.

მენშევიკები.

მენშევიკებმა მიმართეს დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს მოწოდებით სადაც ისინი გამოდიან საბჭოთა რუსეთის ცნობის მომხრეთ გენუის კონფერენციაზე. ამ მოწოდებაში მენშევიკები სწერდნენ: საყოველთაო მშვიდობიანობისათვის, აოხრებული ქვეყნების აღორძინებისათვის ჩვენ მოგიწოდებთ თქვენ: იბრძოლეთ გენუის კონფერენციის გადადების წინააღმდეგ იბრძოლეთ ყოველგვარი ფალსიფიკაციის წინააღმდეგ რუსეთის ცნობის საკითხში... იბრძოლეთ მძიმე პირობების წინააღმდეგ და რუსეთთან სამართლიანი საზავო პირობებისთვის, ახლავე ფინანსიურ-ეკონომიურათ მისი დახმარებისათვის“. ეს მოწოდება, რასაკვირველია, ანსხვავებს მენშევიკებს თუგინდ ვაჭარ მრეწველთა და ფინანსისტების წრეებიდან და თვით ესერ კადეტების ბლოკადასაც. მაგრამ ვინ არ იცის ორჭოფობა და ხელის სიმარდე მენშევიკების. მათი გამოსვლა რუსეთის ცნობის სასარგებლოთ მოწმობს ბოლოს და ბოლოს იმაზე, რომ წვრილ ბურჟუაზიული დემოკრატია რუსეთის ცნობის საკითხში ვერ წავა ისე შორს, როგორც მიდიან მსხვილ ბურჟუაზიული და პომეშჩიკური ჯგუფები და თვით „კულაკური“ დემოკრატიაც, თუმცა შინაური პოლიტიკის საკითხებში ეს ჯგუფები გაერთიანებული ფრონტით გამოდიან. და ისიც ვთქვათ, გამოდიან კი თვით ეს მენშევიკები ისე გადაჭრით საბჭოთა რუსეთის ცნობის სასარგებლოთ? ლაპარაკობენ რა რუსეთის მეურნეობის რესურსების დაცინების შესახებ მენშევიკები სწერენ: „ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ დღევანდელი მდგომარეობა შექმნილია არა მარტო შინაური მიზეზების, არამედ ანტანტის ბოროტი და ველური პოლიტიკის გამოც“. უკანასკნელი დებულების შესახებ ჩვენ არას ვიტყვით, მაგრამ რომელ „შინაურ მიზეზებზე“ ლაპარაკობენ მენშევიკები? აქვე თუ არა მათ სახეში თავისი არა ლეგალური მუშაობა, რომელიც ხელს უშლის სამეურნეო აღმშენებლობას რუსეთში? ან გაფიცვების მხარის დაჭერა საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ? ამხილებენ რა ანტანტას „ბოროტი და ველური პოლიტიკისთვის“ მენშევიკები ერთ სიტყვასაც არ ამბობენ იმ როლის შესახებ, რომელიც მათ ითამაშეს უკრაინაში დენიკინის დროს, იაროსლავში და თეთრგვარდიელების ყველა შეთქმულებაში, რომლებიც მოწყობილი იქნენ ანტანტის ხარჯზე. და დაბოლოს, რატომ ასე „იცავენ“ მენშევიკები საბჭოთა ხელისუფლებას? ხომ ყველასათვის ცნობილია მათი ჭეშმარიტი დამოკიდებულება ამ ხელისუფლებასთან? როდესაც საბჭოთა რეჟიმი სუსტი იყო და მეფის გენერლები ესეოდნენ მას, მენშევიკები იმოდევენებდნენ, რომ ეს უკანასკნელები მოიტანდნენ ხიშტების წვერზე „საღ კაპიტალიზმს“. ახლა ამაზე ოცნება სასაცილო იქნებოდა. და აი მენშევიკებმაც თავისი ტაქტიკა შესცვალეს. დეე იცნოს საბჭოთა ხელისუფლება ანტანტამ—მით უფრო ადვილი იქნება მისი დანგრევა შიგნიდან. გამოვაცხადოთ თავი საბჭოთა ხელისუფლების მომხრეთ. რა მოსაზრებით“. ამაზე ერთი აზრი წამოსცდა „სოციალისტიჩესკი ვესტნიკს“: „..იმიტომ რომ გავარღვიოთ მტრის სისტემა ყველაზე უფრო ნაკლებათ დაცულ ადგილას“. საბჭოთა კონსტიტუცია თხოულობს პრესის თავისუფლებას და სხ. ყველა მშრომელთათვის. მოვითხოვოთ ეს თავისუფლება საბჭოთა მთავრობისაგან. არა იმიტომ, რომ ჩვენ გულწრფელათ გვინდოდეს მოვსპოთ ბურჟუაზიის და პომეშჩიკების პრესის თავისუფლება—არა, არამედ იმიტომ „რომ გავარღვიოთ მტრის სისტემა ყველაზე უფრო ნაკლებათ დაცულ ადგილას“. „ამ პრაქტიკულ მიზანს ისახავს ჩვენი პარტია—ასე სწერს მარტოვი (ს. ვ. № 17)— როდესაც ამა თუ იმ გამოსვლის დროს მასა აყენებს მოთხოვნას საბჭოთა კონსტიტუციის განხორციელების შესახებ“.

ასეთია თვალთმაქცური და უსინდისო პოლიტიკა მენშევიკების.

და როდესაც მარტოვს სურს თავ ბრუ დაასხას ევროპის პროლეტარიატის საზოგადოებრივ აზრს თავის მოწოდებით საბჭოთა რუსეთის „ცნობის“ შესახებ—ჩვენ ვამბობთ მაშინ: „თქვენ რასაკვირველია გესაჭიროებათ, რომ როგორმე განსხვავდებოდეთ ბურცევისა და ტ. კუტეპოვისაგან; მაგრამ ტყუილათ გგონიათ, რომ ინგლისისა და გერმანიის პროლეტარიატს არ შეუძლია თქვენი მოღალატური პოლიტიკის მხილება“.

ჩვენ ვერ ამოვსწურეთ ემიგრაციის ყველა პოლიტიკური ჯგუფები. ჩვენ არაფერი გვითქვამს ნაციონალურ პარტიებზე: უკრაინის, საქართველოს და სხვ. მემარცხენე ესერებზე, ანარქისტებზე „სმენა ვეხის“ ჯგუფზე. პოლიტიკური გავლენა ყველა ამ ჯგუფების ძალიან მცირეა. ვიტყვით კი მოკლეთ: ნაციონალური პარტიები: პეტლიურასი, დაშნაკელები, საქართველოს ნაციონალისტები და სხვ აწარმოებენ გაცოფებულ, თუმცა უკბილო კამპანიას საბჭოთა ხელისუფლების და მისი ცნობის წინააღმდეგ გენუაში. მემარცხენე ესერები და ანარქისტები ჩვენ გვთვლიან „დაღუპულებათ სოციალური რევოლიუციისთვის“ და გერმანიის ნახევრათ ანარქისტულ კომუნისტურ მუშათა პარტიასთან ერთათ გვეძახიან ჩვენ „შემთანხმებლებს“.

„სმენა ვეხის“ ჯგუფი ამბობს, რომ „ურუსეთოთ ევროპა ვერ გამოვა კრიტიკული მდგომარეობიდან“ და იმედი აქვს საბჭოთა ხელისუფლებისა კომპარტიის შემდეგი ევოლიუციის.

საბჭოთა ხელისუფლებისათვის არ არის სახიფათო ეს ფრონტი, რადგან პოლიტიკური ლოღიკა, გარკვეულობა პოზიციის, სიმტკიცე და გაბედულება მის მხარეზეა, ხოლო მისი მტრების მხარეზე კი—რაზმი, დაშლა და პოლიტიკური სიბეცე.

ვის დაღუპვასაც ღმერთი მოისურვებს, მას პირველ ყოვლისა ის ჭკუას წაართმევს.

ერდე.

„იზვესტია“.

---

*) დასასრული, იხ. „კომ.“ № 91.

გენუის კონფერენცია

რუსეთის პრობლემა.

ნაუენი, 26 აპრილი (გერმანული რადიო). რუსეთის დელეგაციამ განაცხადა, რომ მის მიერ შეტანილი მემორანდუმი საბოლოოა.

ბორდო, 26 აპრილი (ფრანგული რადიო), კვირას მოკავშირეთა დელეგაციის სხდომაზე, ფაქტას თავმჯდომარეობით, ლოიდ ჯორჯმა და ბარტუმ განაცხადეს, რომ რუსეთის მემორანდუმთან დაკავშირებულ ინციდენტის განხილვა დავალებული აქვს ექსპერტების კომისიას.

მნიშვნელოვანი განცხადებანი.

გენუა, 24 აპრილი (იტალიის რადიო). იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა შემდეგი მნიშვნელოვანი განცხადება გააკეთა: 1 რუსეთის მემორანდუმი უნდა ჩაითვალოს გაუქმებულათ რუსეთის დელეგაციის მიერ 22 აპრილის თარიღით გამოგზავნილ წერილის შემდეგ; 2. რადგანაც ინციდენტი ამოწურულია ექსპერტების თათბირი განახლდება. მუშაობა უნდა სწარმოებდეს რუსების მიერ 15 აპრილს მოწოდებულ ცნობებისა და რუსეთის დელეგატების პასუხის საფუძვლებზე.

რაკოვსკის განმარტება.

გენუა, 24 აპრილი (იტალიის რადიო). 23 აპრილს რაკოვსკიმ გაუგზავნა ექსპერტების კომისიის თავმჯდომარე ინგლისის სამხედრო მინისტრ სერ ევანს განმარტებითი ბარათი, რომელშიც პრაქტიკულად არის გადაწყვეტილი საკითხი, რომელიც გახდა მიზეზათ ფრანგი ექსპერტების რუსეთის საკითხის შესახებ არსებულ კომისიიდან წასვლისა.

დეტალური შესწავლა.

გენუა, 24 აპრილი (იტალიის რადიო) 23 აპრილს ნაშუადღევს მეფის სასახლეში შეიკრიბა კომისია 8 ექსპერტებისა, რომელთაც დავალებული აქვთ რუსეთის პრობლემის დეტალურათ შესწავლა. კომისიის სხდომაზე, როგორც რუსეთის წარმომადგენლები, დასწრენ კრასინი, რაკოვსკი, ლიტვინოვი და სხვ. ზოგიერთი საკითხების ყოველმხრივ განხილვის შემდეგ თავმჯდომარის ევანსის მიერ კრების სათანადოთ წაყვანისა და მისი საპარლამენტო გამოცდილების წყალობით, კომისია გადავიდა რუსეთის ვალების საკითხის უფრო არსებითი მუხლების განხილვაზე. ყველა ექსპერტები იჩენდნენ ზომიერებას და ობიექტივობას, სცდილობდნენ რა გამოენახათ უფრო პრაქტიკული და საადვილო საშუალებანი რუსეთის პრობლემის გადასაწყვეტად. ექსპერტების კომისიის შემდეგი სხდომა დანიშნულია 24 აპრილს 17 საათზე. სხდომა გადადებულ იქნა იმისათვის, რომ მიეცათ რუსეთის დელეგატებისათვის საშვალება გაეცნობოდნენ უფრო დაწვრილებით 23 აპრილის სხდომაზე წამოყენებულ მოსაზრებებს და თავის მხრითაც წამოეყენებიათ კონკრეტიული წინადადებანი.

რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების გარშემო 9 სახელმწიფოთა ნოტა.

ნაუენი 25 აპრილი, (გერმანული რადიო). ჰავასის სააგენტოს ცნობით 9 სახელმწიფოთ გადასცეს გერმანიის დელეგაციას ნოტა, რომელშიდაც ისინი აღნიშნავენ, რომ რაპალოში დადებულ ხელშეკრულების ზოგიერთი მუხლები ეწინააღმდეგებიან სხვა ხელშეკრულებებს.

ბერლინი. 25 აპრილი, (გერმანული რადიო) ის შენიშვნები, რომელიც მოყვანილია 9 სახელმწიფოთა ნოტაში, ვერსალის ხელშეკრულების მე-160 მუხლის დარღვევის შესახებ, მიაჩნიად სერიოზულად, მიუხედავად ინგლისელ და იტალიელ ექსპერტების განცხადებისა, რომ რაპალოს ხელშეკრულება არ ეწინააღმდეგება ვერსალის ხელშეკრულებას.

სტკეპნიან ერთ ადგილს.

ნაუენი. 25 აპრილი, (გერმანული რადიო). გერმანიის დელეგაცია უცხადებს, რომ იგი არ ეთანხმება საფრანგეთის თვალსაზრისს. დროა თავი დავანებოთ ნოტების გზავნას. გერმანიის დელეგაცია იზიარებს იტალიის თვალსაზრისს და ინციდენტი ამოწურულად მიაჩნია. საჭიროა ბოლოს და ბოლოს შევუდგეთ პრაქტიკულ მოლაპარაკებას. გერმანიის დელეგაცია ხელ ახლა აცხადებს, რომ მას არა აქვს განზრახვა მონაწილეობა მიიღოს ანტანტის რუსეთთან მოლაპარაკებაში, მაგრამ იმედს გამოსთქვამს, რომ ის არ იქნება გამორიცხული იმ კომისიიდან, სადაც ირჩევა ისეთი საკითხები, რომელთაც პირდაპირი დამოკიდებულება აქვს ევროპის აღდგენასთან.

მოკავშირეთა თათბირი.

ბორდო 25 აპრილი, (ფრანგული რადიო) კვირას ფაქტას თავმჯდომარეობით გაიმართა მოკავშირე სახელმწიფოთა დელეგაციების თათბირი. ხელ ახლა დამტკიცებულ იქნა, რომ რუსეთ გერმანიის ინციდენტი ამოწურულია მოკავშირეთა მიერ ვირტის სახელზე გაგზავნილ წერილის შემდეგ. ბრატიანომ განაცხადა, რომ მას რუსეთ - გერმანიის ხელშეკრულება მიაჩნია დასაგმობ მოვლენათ, მაგრამ მასი შედეგები კეთილსაიმედო აღმოჩნდნენ, რადგან მან გამოიწვია მოკავშირე სახელმწიფოთა უფრო მეტი დაახლოვება.

გენუა, 24 აპრილი (იტალიის რადიო). მას შემდეგ რაკი გერმანიის დელეგაციას გადაეცა ნოტა იმ 9 სახელმწიფოთა სახელით, რომელთაც ხელი მოაწერეს პროტესტს რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების წინააღმდეგ, ამ ხელშეკრულების დადებით გამოწვეული კრიზისი, შეიძლება ჩაითვალოს გაქარწყლებულად. დელეგატთა წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ ინციდენტის ამოწურვა გამოიწვია ორთავე მხარის სურვილმა და ნებამ თანამშრომლობის იდეის განმტკიცებისა.

ყალბი განცხადება.

ბერლინი, 25 აპრილი (გერმანული რადიო) ვირტმა კონფერენციის თავმჯდომარის ფაქტას სახელზე გაგზავნილ წერილში განაცხადა ენერგიული პროტესტი ბარტუს იმ წერილის შესახებ, რომელშიაც ცილის წამებაა გერმანიის დელეგაციის მიმართ.

თქვენ სხვაგვარად ვერ მოგექცევით

ბორდო, 25 აპრილი (ფრანგული რადიო). მოკავშირეთა დელეგაციების თათბირზე იაპონიის დელეგატმა ბარონ-იშიმ საჩივარი შეიტანა საბჭოთა დელეგატების მოქმედების წინააღმდეგ. იშიმ განაცხადა, რომ იაპონიამ თავისი გამოცდილებით, სამწუხაროდ, იცის რუსების ჩვეულებები მოლაპარაკების წარმოებაში. ჩიტის წარმომადგენლებთან მოლაპარაკება სწარმოებდა ექვსი თვის განმავლობაში. დოკუმენტების წარდგენა რაღაც ჭიანურდებოდა. სეიდუმ ამის შესახებ განაცხადა, რომ კანის კონფერენციას არ შეეძლო წინასწარ გაეთვალისწინებია მათი მოქმედების ამგვარი ხასიათი.

არავითარი საიდუმლოება არ უნდა იყვეს.

რომი, 23 აპრილი (იტალიის რადიო) გერმანიის საელჩო უარყოფს იმ გავრცელებულ ხმებს, თითქოს რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებაში არსებობდეს რაღაც საიდუმლო მუხლები.

რომი, 22 აპრილი (იტალიის რადიო). ვოლფის სააგენტო ბერლინში ოფიციალურად იუწყება, რომ რუსეთსა და გერმანიას შორის სამხედრო კონვენცია იქნა დადებული.

ბორდო, 25 აპრილი (ფრანგული რადიო). გაზეთი „ეხო დე პარი“ იუწყება, რომ რაპალოს ხელშეკრულება მხოლოდ აკანონებს იმ სამხედრო თანამშრომლობას რუსეთსა და გერმანიისას, რომელიც უკვე თვრამეტი თვეა, რაც მათ შორის არსებობდა. გაზეთი აღნიშნავს, რომ „გერმანიის ინჟინრები მუშაობენ რუსეთში გემების აღდგენაზე და საჰაერო ფლოტის შესაქმნელად“.

ლენინს მოელიან.

პარიზი. 25 აპრ. (ფრანგული რადიო). გაზეთი „მატენი“ იუწყება: მოსკოვიდან რომში მიღებული რადიო დეპეშების თანახმად ლენინი მოსკოვიდან გაემგზავრა გენუაში.

საფრანგეთის უნიანობა.

ლონდონი. 21 აპრილი (რადიო—მოსკოვით) დღევანდელი გაზეთები იუწყებიან, რომ თუმცა ლონდონში ჯერ კიდევ არ არის მიღებული გერმანიის პასუხი, მაგრამ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებით შექმნილი კონფლიქტი მაინც შეიძლება ჩაითვალოს ამოწურულათ, გერმანიის თანხმობით პოლიტიკურ ქვეკომისიაში მონაწილეობის არ მიღებაზე.

საფრანგეთის პოლიტიკური წრეები წინააღმდეგი აზრისანი არიან და მათ ინციდენტი არ მიაჩნიათ ამოწურულათ. პარიზიდან დღეს მიღებული ცნობით პუანკარემ დაუგზავნა დიდი და მცირე ანტანტის ყველა სახელმწიფოთ ნოტა, რომელშიც მოითხოვს რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების გარჩევას ელჩთა საბჭოს მიერ. გაზეთი „მორნინგ პოსტ“-ს მიაჩნია პუანკარეს ნოტა მეტად საფუძვლიანად, ამ ნოტაში პუანკარე მოითხოვს ხელშეკრულების სავსებით და ყოველ მხრივ გარჩევის აუცილებლობას. „პარიზში,—ამბობს გაზეთი, ძლიერ რეალურათ მიაჩნიათ ბოლშევიკებისა და გერმანელებს შორის მომხდარი შეთანხმებით გამოწვეული საშიშროება“.

რეპარატიული კომისია აცხადებს, რომ მას დასჭირდება პუანკარეს ნოტის გარდა განხილვა თვით რუსეთ გერმანიის ხელშეკრულობისა ვერსალის ხელშეკრულების დარღვევის თვალსაზრისით. პარიზის წრეებში ფიქრობენ, რომ ამ ხელშეკრულებით დარღვეულია ვერსალის ხელშეკრულების 260, 236, 116 და 169 მუხლები, რომელთა შორისაც პირველი ეხება გერმანელ მოქალაქეთა უფლებას რუსეთის წარმოებებში, მეორე—გერმანიის ყველა რესურსების რეპარატიულ ფონდში გადაცემას, მესამე აძლევს უფლებას რუსეთს მოსთხოვოს გერმანიას ზარალის ანაზღაურება და მეოთხე შეიცავს გერმანიის მიერ იარაღისა და ნედლი მასალის მოკავშირეებისათვის გადაცემის ვალდებულებას.

გაზეთი „ტანი“ ენერგიულათ მოითხოვს ხელშეკრულების გაუქმებას, რათა დაცულ იქნეს საფრანგეთის პრესტიჟი, და აგრეთვე იმ საშიშროების თავიდან ასაცილებლად, რომელიც გამოიწვია რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებამ საზოგადოებრივ აზრში. „თუ ხელშეკრულება არ იქნება გაუქმებული,—აცხადებს გაზეთი, მაშინ გერმანიის დელეგაციამ უნდა დასტოვოს გენუა და გაემგზავროს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბერლინში. გერმანიის მთავრობას კატეგორიულად უნდა მიიწეროს უარი სთქვას რაპალოს ხელშეკრულებაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში საფრანგეთმა სათანადო თავდაცვითი ზომები უნდა მიიღოს“.

იტალია კმაყოფილია კონფერენციის მუშაობის მსვლელობით.

ჰელსინგფორსი. 18 აპრილი (რადიო მოსკოვით). გაზეთ „ჰუფუდ სტაგბლატ“-ს გენუის კორესპონდენტი იუწყება, რომ იტალიის მთავრობის წრეები ძლიერ კმაყოფილი არიან კონფერენციის მუშაობის მსვლელობით და რომ მიუხედავად საფრანგეთის პროტესტებისა კონფერენცია სასურველად იქნება დამთავრებული. ამ აზრს იზიარებს იტალიის მთელი პრესაც.

კონფერენციის კულუარებში.

კონფერენციის ხანგრძლივობა.

ბორდო. 24 აპრილი (ფრანგული რადიო). ლლოიდ ჯორჯმა გამოსთქვა რწმენა, რომ კონფერენციის მუშაობა გაგრძელდება კიდევ ორ კვირას და შეიძლება კიდევ უფრო დიდხანს. ლლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ იგი ბოლომდის დარჩება კონფერენციაზე.

იტალიის მეფე გენუაში.

ბერლინი. 24 აპრილი (გერმანული რადიო). ბრონენოსეც „კავურ“-ით იტალიის მეფე ჩავიდა გენუაში. მეფემ გამართა სუფრა, რომელზედაც მიწვეული იყვნენ ყველა დელეგატების მეთაურები. სხვათა შორის მეფეს მიწვევა მიიღო ჩიჩერინმაც.

გენუა 23 აპრილი (იტალიის რადიო) 23 აპრილს დილით დრედნოუტ „გრაფ კავური“-თ გენუაში ჩავიდა იტალიის მეფე. მეფე გადმოვიდა ნაპირზე და შევიდა პრეფექტურაში, სადაც მან მიიღო უცხოეთის დელეგაციები და მათ შორის რუსეთის დელეგაციაც. მეფე დაესწრო სუფრას, რომელიც გაიმართა დელეგატების პატივსაცემლად.

„სენსაცია“.

ბორდო. 24 აპრილი (ფრანგული რადიო). საზეიმო ბანკეტზე მეფე ვიქტორ ემანუილი დიდხანს ებაასა ჩიჩერინს. იტალიის პრესის ცნობით განსაკუთრებული „სენსაცია“ გამოიწვია გენუის არქიეპისკოპოსმა, რომელიც მოვიდა ბოლშევიკებთან ერთად.

ექსპერტების კომისია.

გენუა 23 აპრილი (იტალიის რადიო) დიდი და მცირე ანტანტა და ნეიტრალურ სახელმწიფოთა დელეგატების შეერთებულმა სხდომამ 22 აპრილს დაადგინა რუსეთის წინადადება გადასცეს დაწვრილებითი გასაცნობათ ექსპერტების კომისიას.

საკონტრიბუციო პრობლემა.

გენუა 23 აპრილი (იტალიის რადიო). ავსტრიის კრედიტორი სახელმწიფოთა დელეგატები 22 აპრილს შეიკრიბნენ შანცერის თავმჯდომარეობით, რომელმაც განაცხადა, რომ იგი სავსებით იზიარებს საზავო ხელშეკრულების იმ მუხლების გადასინჯვას, რომელიც ეხება ანაზღაურებათა გადახდის გარანტიებს.

საფინანსო კომისიაში.

გენუა 23 აპრილი (იტალიის რადიო) საფინანსო კომისია სერ ხორნის თავმჯდომარეობით შეუდგა ქვეკომისიების მიერ წარმოდგენილ წინადადებათა განხილვას, უმთავრესად ფულის ტრიალისა და დახურდავების საკითხებისას. ამ მოხსენებათა განხილვაში მონაწილეობას იღებდნენ თითქმის ყველა სახელმწიფოთა წარმომადგენლები. მოხსენებები მიიღეს ერთხმად. იგი გადაეცემა კონფერენციის პლენუმს.

რუსეთის პირობების განხილვის დროს.

სანტა მარგარიტა 23 აპრილი (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო) (მოსკოვით) ბრწყინვალე პერსპექტივები, რომელიც დაისახა ლლოიდ-ჯორჯის დეკლარაციის გამო, უეცრივ დაიჩრდილა, როგორც კი დაიწყო მუშაობა ექსპერტთა კომისიამ რუსეთის საკითხის შესახებ. საფრანგეთის დელეგატებმა პირველ დღეს ჩაშალეს სხდომა, დემონსტრატიულად განაცხადეს, რომ ისინი რუსეთის მემორანდუმში ხედავენ კანის რეზოლიუციებთან წინააღმდეგობას. ამას გარდა ფრანგები კიდევ მტრულად უყურებენ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებას, მიუხედავად ლლოიდ-ჯორჯის რწმუნებისა, რომ გერმანელების პასუხი მოკავშირეთა ნოტაზე სავსებით დამაკმაყოფილებელია.

ბართუმ, პარიზიდან მიღებულ დირექტივების თანახმად, ფაქტსალამი წერილში განაცხადა, რომ ხელშეკრულება წინააღმდეგება კანის რეზოლიუციებს. ბართუს წერილი შედგენილი იყო მკაცრი და გამომწვევი კილოთი, რომელმაც გამოიწვია გერმანიის დელეგაციის პროტესტი გერმანიის მიმართ დაუშვებელ შეურაცყოფათა წინააღმდეგ. ინგლისის პრესამ განიხილა ბართუს გამოსვლით შექმნილი მდგომარეობა და მისი ბრალდებები უსაფუძვლოდ აღიარა. გაზეთები ლლოიდ ჯორჯს აწერენ შემდეგ ფრაზას: „მე დავიღალე კონფერენციის ჩაშლის უსაზღვრო ცდით რომელსაც აწარმოებენ. თუ ეს გაგრძელდა, დაგვრჩენია ერთი გამოსავალი—მივმართოთ მოწოდებით მთელს ევროპას და მიუთითოთ, ვინ არის დამნაშავე საბოტაჟში“.

იტალიის პრესა ყველაფერში ბრალს სდებს ბართუს. გაზეთებში მოთავსებულია რაკოვსკის განცხადება, რომელიც მას უნდა გაეკეთებია ექსპერტთა კომისიაში, ფრანგების გამოსვლის საპასუხოდ.

რაკოვსკი განმარტავს, რომ რუსების მიერ გამოქვეყნებული მემორანდუმი არის ლონდონის ექსპერტთა მემორანდუმის პასუხი. წერილი (გამოტოვებული) შედეგია ხშირი მოლაპარაკებისა რუსეთსა და ანტანტას შორის, რომელიც სწარმოებდა განსაზღვრულ პირობებში ცნობილ დათმობათა მიღწევის მიზნით.

სურთ ჩაშალონ კონფერენცია.

ნაუენი. 25 აპრ. (გერმანული რადიო). გერმანიის პრესა ამტკიცებს, რომ საფრანგეთი თავისი პოლიტიკით გენუის კონფერენციაზე სცდილობს კონფერენციის ჩაშლას. გაზეთი „ბერლინერ ტაგებლატი“ ურჩევს კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთ ფრთხილად ადევნონ თვალყური ამგვარ ცდასა და კონფერენციის მუშაობის მსვლელობას.

თუ ეს არა მაშ ის.

ბერლინი. 25 აპრ. (გერმანული რადიო). გაზეთი „დოიჩე ალგემეინე ცეიტუნგი“ აღნიშნავს რომ საფრანგეთის უკანასკნელი ობსტრუქციის ობიექტი იყო არა გერმანია, არამედ რუსეთი.

ნეიტრალური სახელმწიფონი ფიქრობენ, რომ საფრანგეთი ყოველ ზომას იღებს კონფერენციის მუშაობის განგრძობის წინააღმდეგ. მაგრამ საჭირო მომენტში საფრანგეთი უკან იხევს, რადგან იზოლიაციის ეშინია.

უკვე დაიღალენ.

ლონდონი. 25 აპრ. ინგლისის რადიო). გაზეთ „დეილი ტელეგრაფი“-ს გენუის კორესპონდენტი აღნიშნავს, რომ დელეგატები უკვე დაიღალენ ამგვარი მდგომარეობის განგრძობით. ცხადია, რომ ბართუს ხელები აქვს შეკრული და იგი სავსებით არის დამოკიდებული პარიზის ინსტრუქციებზე, რის გამოც საფრანგეთის პოზიცია ყოველ დღე იცვლება.

საფინანსო საკითხების გადაწყვეტა.

ბორდო. 25 აპრ. (ფრანგული რადიო) სერ ხორნი სავსებით კმაყოფილია საფინანსო კომისიის წინასწარ სხდომებზე საფინანსო ყველა საკითხების გადაწყვეტილებით. ყველა გადაწყვეტილებანი გადაეცემა კონფერენციას დასამტკიცებლად.

უთანხმოება.

ბორდო. 25 აპრ. (ფრანგული რადიო). გაზეთ „პტი-პარიზიენ“-ს ძალიან აწუხებს ის გარემოება, რომ გენუაში მოკავშირეთა შორის არ არსებობს თანხმობა.

რუსეთ გერმანიის საშიშროება.

პარიზი 25 აპრილი (ფრანგული რადიო) გაზეთი „მორნინგ პოსტი“ აღნიშნავს, რომ საფრანგეთი არის ერთად ერთი სახელმწიფო, რომელსაც შეუძლია რეალური დახმარება გაუწიოს რუსეთ გერმანიის საშიშროების თავიდან აცილებას. საფრანგეთს შეუძლია გავლენა მოახდინოს გერმანიაზე ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით. ლონდონის ბურჟუაზიული გაზეთი ირწმუნება, რომ საფრანგეთს ამ შემთხვევაში ექნება ინგლისის დახმარება. გაზეთი აგრეთვე იმედოვნებს, რომ ამ საქმეში შესაძლებელია ამერიკის დახმარებაც.

ლლოიდ ჯორჯის გაცხადება.

ბორდო 25 აპრილი (ფრანგული რადიო) ჰავასის სააგენტოს ცნობით გენუაში 24 აპრილს განწყობილება დამაკმაყოფილებელი იყო. მაგრამ ფიქრობენ, რომ ასე დიდხანს არ გაგრძელდება მიმდინარე კვირაში უნდა მოველოდეთ ახალ ინციდენტებს. გაზეთების კორესპონდენტები აღნიშნავენ ლლოიდ-ჯორჯის ხელოვნებას და გაცხარებას.

არ არიან კმაყოფილნი.

ბორდო 25 აპრილი (ფრანგული რადიო) ავსტრიის დელეგაციის მეთაურმა გრაფმა ბეტლენმა განაცხადა, რომ იგი არ არის კმაყოფილი კონფერენციის მუშაობით, რომელიც სავსებით ჩაფლულია რუსეთის საკითხებში და სრულებით არ ფიქრობს ევროპაზე.

საფრანგეთის ზომიერება.

ბორდო 25 აპრილი (ფრანგული რადიო) პუანკარემ რაპალოს ხელშეკრულების შესახებ წარმოთქმულ სიტყვაში განაცხადა, რომ საფრანგეთის დელეგაციის მოქმედება დამამტკიცებელია მისი ზომიერების. დელეგაცია სცდილობს იმუშაოს ლოიალურად, იჩენს რა მაქსიმუმს გულკეთილობისა გერმანიის მიმართ. საფრანგეთმა აშკარად განაცხადა, რომ იგი სოლიდარულია მოკავშირეებთან. მაგრამ თუ საფრანგეთის დელეგაცია ვერ შესძლებს გენუაში თავისი იდეების გატარებას, სამწუხაროდ მას მოუხდება თავი დაანებოს სხვა სახელმწიფოებთან თანამშრომლობას და დასტოვოს კონფერენცია, რომლის ნაყოფიერებაშიც თვით იგიც დაინტერესებულია.

მუქარა ევროპის მშვიდობიანობის წინააღმდეგ.

პარიზი 25 აპრილი (ფრანგული რადიო) პუანკარე ამტკიცებს, რომ რუსეთ გერმანიის პოზიცია ქმნის ისეთ პოლიტიკურ მდგომარეობას, რომელსაც შეუძლია დაარღვიოს ევროპის დღევანდელი წონასწორობა. ეს პოზიცია სცილდება ფინანსიურ და ეკონომიურ მიზნების საზღვრებს. პუანკარე ამტკიცებს, რომ გერმანიაში ხაზს უსვამს რიგაში იდეას. ბოლშევიკები აწარმოებენ სასტიკ აგიტაციას ყველა და „ძალიან დემოკრატიული [illegible] ლიგების“ წინააღმდეგაც. მოკავშირეებს დასჭირდებათ განიხილონ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულობა, [illegible] მიიღონ ყველა მოსალოდნელი შედეგები და გამოიტანონ აქედან სათანადო დასკვნები, რადგან ეს ხელშეკრულება გავლენას ახდენს მთელ ევროპაზე.

არ სცნობენ.

რომი 25 აპრილი (იტალიის რადიო). ახლად დაარსებულ სახელმწიფოებისა და აგრეთვე დიდი და მცირე ანტანტის წარმომადგენლებმა გადასცეს გერმანიის დელეგაციას ნოტა, რომელშიც აცხადებენ, რომ იტოვებენ უფლებას არ იცნონ რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება.

საბერძნეთის დელეგაცია.

გენუა 24 აპრილი (იტალიის რადიო) 23 აპრილს გენუიდან გაემგზავრა გუნარისი და გენერალი ეკედაკტილე ი. საბერძნეთის დელეგაციის თავმჯდომარის მოადგილეთ დარჩა საბერძნეთის გარეშე საქმეთა მინისტრი რუფოსი.

კაპიტალიზმის სამეფოებში

აღმოსავლეთში

მუსტაფა ქემალი დროებითი ზავის შესახებ.

ანგორა 20 აპრილი (რადიო). მუსტაფა ქემალმა 18 აპრილს დიდ ეროვნულ ყრილობაზე წარმოთქმულ სიტყვაში შეეხო რა დროებითი ზავის წინადადებას, თქვა: ანტანტის პირველი და მეორე ნოტა ლაპარაკობს ანატოლიის ევაკუაციის შესახებ. მესამე ნოტაში კი ევაკუაციის საკითხი გადადებულია. საკითხი ზავის შესახებ უნდა გადაიჭრას უშუალოდ ოსმალეთსა და ანატოლიის შორის. ჩვენ უნდა მოვსპოთ ის ნგრევა, რომელსაც აწარმოებენ ჩვენს ქვეყანაში ბერძნები. ოსმალეთის ლაშქარი ამ ჟამად აღარ წარმოადგენს ძველ ოტომანის ლაშქარს: მას აღარ სურს აღადგინოს სულთანის იმპერია. ჩვენი ლაშქრის ძალა და გაწყობილება სრული თავდებია იმისა, რომ ჩვენ [illegible] მაღალ სურვილებს.

პროტესტი დროებითი ზავის წინააღმდეგ.

ანგორა 20 აპრილი (რადიო). ანგორის გაზეთებში მოთავსებულია იმ ქალაქების სია, რომლებმაც განაცხადეს პროტესტი ანტანტის ნოტის წინააღმდეგ „ენი-გიუნს“ მოჰყავს 60 ქალაქი, მათ რიცხვში ყარსი, ართვინი, არდაგანი, ვანი, სივასი და სხვა, რომლებმაც განაცხადეს პროტესტი ანტანტის ნოტის წინააღმდეგ.

ანგორა 20 აპრილი (რადიო). ოფიციოზი „ხაკი მილემილიე“ აკრიტიკებს რა მკაცრად ანტანტის ნოტას სწერს: თავის გაურკვევლობით ანტანტის ნოტა სჭარბობს დელფოს ორაკულის სიტყვებს. ნოტის ცალკეული სიტყვები ერთი მეორეს ეწინააღმდეგებიან. ნოტის მიზანია გაგვაბას ჩვენ მახეში. მოკავშირეებმა გადაწყვიტეს [illegible] მთავრობა ამას [illegible] ბაში. [illegible] ფელობისაგან და იგი არის შურის და უწესოების ინიციატორი. [illegible]გიური“ კიდევ უფრო მკაცრად სწერს: ანტანტამ უარყო რა ევაკუაცია, სურს დასტოვოს მტერი სახელმწიფოს გულში. ინგლისს ეშინია მოგვცეს ჩვენ ბერძნების წასვლის შემდეგ ის მიწები, რომელთა დაკავებას თვითონ ცდილობს. ჩვენ ვიმყოფებით მახის წინაშე.

საბერძნეთ ოსმალეთის ფრონტზე.

ანგორა 19 აპრილი (რადიო) ესკიშეხირის მიმართულებით ბერძნების ცხენოსანი ნაწილი, რომელიც ცდილობდა მოახლოებოდა ჩვენ სანგრებს მოგერიებულ იქნა. აიდინ ყარაჰისარის მიმართულებით წარმოებს ჰაერით დაზვერვა.

ტრაპზონი 20 აპრილი (რადიო). „ისტიკლალი“ იუწყება, რომ მუსტაფა ქემალმა ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ წარმოსთქვა სიტყვა დიდ ეროვნულ ყრილობაზე და აღნიშნა, რომ ლაშქარი სრულიად მზად არის დაიცვას ხალხის სამართლიანი მოთხოვნილებანი. მუსტაფა ქემალმა დაასურათა ლაშქრის საუცხოვო და ფიზიკური განწყობილება.

შორეულ აღმოსავლეთში

რუსეთი და მონგოლია.

ბერლინი 24 აპრილი (რადიო). ჩრდილოეთ მონგოლეთმა გამოაცხადა თავის თავი დამოუკიდებლად ჩინეთისაგან. კოპენჰაგენიდან მოსულ ცნობებით მონგოლიის ახალმა მთავრობამ დადო ხელშეკრულება საბჭოთა მთავრობასთან, რომელიც დაჰპირდა მას დახმარების აღმოჩენას.

საბჭოთა რუსეთის პრესა რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი. 24 აპრილი, (რადიო). „იზვესტია“ სწერს: „რუსეთ გერმანიის ხელშეკრულება გარკვევით უჩვენებს ყველა კაპიტალისტურ სახელმწიფოებს, რომ საბჭოთა რუსეთი მზადაა წავიდეს შეთანხმებაზე იმ მისაღებ პირობებში, რომლებიც არ ეწინააღმდეგებიან მისი პოლიტიკის საერთო დებულებებს. კერძოდ ევროპის საერთო დებულებებს. კერძოდ ევროპის ეკონომიური აღდგენისათვის ის მზადაა დადოს ხელშეკრულება, რომელიც დაფუძნებული იქნება ძველი გაუგებრობის და პრეტენზიების მოსპობაზე და ისეთ ეკონომიურ თანამშრომლობის ცნობაზე, რომლის

რუსეთის კომუნისტურ პარტიის მე-11 ყრილობა

ამხ. ზინოვიევის მოხსენება

პარტიის გამაგრების შესახებ

დადგა დრო, როდესაც ჩვენი პარტია უფრო მეტი ყურადღებით, ვინემ აქამდე, უნდა მოეპყრას საკითხს თავის შინაური აღმშენებლობის შესახებ.

თეზისები, რომლებიც წარმოადგინა ჩვენი პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რომლებიც მე უნდა დავიცვა თქვენს წინაშე, ალბათ შეიცავენ თავის პრაქტიკულ ნაწილში ბევრ ნაკლს. მე ვფიქრობ და ჩვენ ყველანი ცენტრალურ კომიტეტში ვფიქრობთ, რომ ამ ყრილობის ამოცანა მდგომარეობს არა იმდენათ იმაში, რომ კიდევ ერთი ახალი [illegible] პრაქტიკული აზრი გამოვსთქვათ ამ დარგში არამედ იმაში, რომ გავითვალისწინოთ განვლილი გზა და აღვნიშნოთ ახალი ეტაპები. მათე პარტიული ყრილობის რეზოლიუციაში, რეზოლიუციაში სრულიად რუსეთის კონფერენციის და მდივნების თათბირისა, რომელსაც ადგილი ჰქონდა პარალელურათ ამ კონფერენციასთან, წინანდელი ყრილობების და კონფერენციების რეზოლიუციებშიც გამოთქმული იყო იმდენი პრაქტიკული დარიგება და რჩევა, რომ შესაძლებელი იყოს მათი ნახევრის მაინც შესრულება, ეს იქნებოდა დიდი ნაბიჯის წინ გადადგმა. თავის თავათ იგულისხმება, რომ ამ ყრილობამაც უნდა მოვისმინოთ ჩვენ სრული ყურადღებით ყოველი პრაქტიკული წინადადება, რომელშიც იქნებოდა რაიმე არსებითი შინაარსი, მაგრამ ძირითადი ამოცანა, ვიმეორებ, იმაში მდგომარეობს, რომ ავწონ დავწონოთ ჩვენი პარტიის არსებობის რამოდენიმე ძირითადი, პრინციპიალური კითხვები.

ჩვენი პარტია მასიურია

იმისთვის, რომ ნათლათ წარმოვიდგინოთ ჩვენი პარტიის როლი, საჭიროა თუ გინდ ზერელეთ მაინც შევჩერდეთ მის ისტორიაზე. არ იქნება გადამეტებული თუ ვიტყვით, რომ ამ ჟამად ჩვენი პარტია არის უმთავრესი [illegible] ისტორიული პროგრესის და არა მარტო რუსეთში, ჩვენს ქვეყანაში, არამედ მთელ მსოფლიოში. ჩვენი პარტია არის საძირკველი კომუნისტური ინტერნაციონალის. ის არის სანიმუშო მთელ რიგ სხვა პარტიებისათვის, ჩვენი პარტია არის ერთად ერთი ლეგალური პარტია ჩვენს ქვეყანაში. ამიტომაც იმ პროცესებს, რომლებსაც ვხედავთ ამ პარტიაში, აქვთ ახლა არა ვიწრო-პარტიული, არამედ სახელმწიფოებრივი, შეიძლება ითქვას, მსოფლიო მნიშვნელობა.

როგორ შესდგა ჩვენი პარტია? ჩემ წინ სძევს ერთი წიგნი, რომლიდანაც მე მომიხდება ამ მოხსენების დროს რამოდენიმე ციტატის მოყვანა. ის არის დაწერილი მენშევიკების ცენტრალური კომიტეტის ერთი წევრის—დალინის მიერ. მისი სათაურია: „ომებისა და რევოლიუციების შემდეგ“. ამ მენშევიკმა დაისახა მიზნათ დაწვრილებით განეხილა ყოველისფერი ის, რაც ჩვენ პარტიაში მოხდა. და უნდა ვსთქვათ სიმართლე, რომ მან თავი მოუყარა ფრიად მნიშვნელოვან მასალას და თავისი, მენშევიკური, თვალსაზრისით შეეცადა გაერჩია ის რაც ხდება ჩვენ პარტიაში. ავტორი აყენებს კითხვას: „რა ძალებით შევიდა რევოლიუციაში ბოლშევიკური პარტია. ეს იყო რამოდენიმე კაცი, რომლებიც დასტოვა სამკვიდროთ 1905 წელმა ნაწილობრივ ემიგრაციაში, უმთავრესათ კი რუსეთში. რამდენი იყვნენ ისინი რიცხვით, რა საკვირველია, ამას ვერავინ ვერ იტყვის, მაგრამ ეჭვს გარეშეა კი, რომ არა უმეტეს ხუთის ან ათი ათასისა, რომელთაგან არა ნაკლებ მესამედისა იყო ინტელიგენცია. აი ის ძირითადი თანხა, რომელიც იძლეოდა შემდეგ დიდ მოგებას (დ. დალინი—„ომებისა და რევოლიუციების შემდეგ.“ ბერლინი 1922 წ. გვ. 29).

ეჭვი არ არის, რომ ამ სიტყვებში არის ნაწილი ჭეშმარიტებისა. მართალია, რევოლიუციაში ჩვენი პარტია შევიდა რიცხობრივათ ძალიან პატარა. ჩვენ პირველ კონფერენციის დროს, ცარიზმის დაცემის შემდეგ დღეებში, 1917 წლის აპრილში, პარტიაში იყო ძლივს 75000 წევრი. ეს იყო ცარიზმის დაცემიდან ორი თვის შემდეგ. ხოლო თქვენ მოგეხსენებათ, რომ ამ ორი თვის განმავლობაში როგორი ფართო მასა დაიძრა პარტიაში შემოსასვლელათ. 75000 წევრიდან, რომლებიც წარმოდგენილი იყვნენ კონფერენციაზე, ნახევარი თუ იქნებოდა პარტიის ძველი წევრი. ამნაირათ მართლაც, თავისი ლეგალური არსებობის დასაწყისში ჩვენ პარტიას ჰყავდა არა უმეტეს 40—50 ათასი წევრისა. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ის მასიური არ ყოფილა. ჩვენი პარტია სდგებოდა 1903 წლიდან და იყო მასიური. ის იყო ისეთი თვით მაშინაც, როდესაც ჩვენ არა ლეგალურათ ვარსებობდით, აპარატი ჩვენი შესუსტებული იყო და რიცხვობრივი შემადგენლობა მცირე.

ჩვენი პარტიის განვითარება ისეთი იყო, რომ ოცი წლის განმავლობაში ჩვენ განკარგულებაში აღმოჩნდა მთელი სარეზერვო ნაწილი წევრებით გამოსადეგი ამხანაგებისა ე. ი. ისეთები, რომლებიც ჩვენ გვითანაგრძნობდნენ და შემდეგ შემოვიდნენ პარტიაში, მაგრამ რომლებიც ჩვენი არა ლეგალური მდგომარეობის დროს მხოლოდ თანაგრძნობნი იყვნენ ჩვენი. პარტიის შემდგომ ჩქარ განვითარებაში მოულოდნელი არაფერი ყოფილა. ეს არ ყოფილა უბრალო თავბრუდამხვევი ნახტომი. არა ეს იყო შედეგი ოცი წლის განმავლობაში ძალების დაგროვებისა. ეჭვს გარეშეა მხოლოთ, რომ უმთავრესი ცენტრი პარტიისა რიცხობრივათ ძალიან უმნიშვნელო იყო.

მენშევიკი, რომლის წიგნზეც მე ვლაპარაკობ, ჩვენი პარტიის უმთავრეს მასას „მარტის ბოლშევიკებათ“ ნათლავს, როგორც ლაპარაკობენ ხოლმე „მარტის ესერებზე“. მე მგონია, რომ ჩვენ ძალიან უნდა ჩავუფიქრდეთ ძირითად კითხვას იმის შესახებ, მართლა იმდენათ „ვაიბერა“ პარტია, იმდენათ შეიცვალა მისი სოციალური შემადგენლობა, იმდენათ შეიჭრნენ იქ უცხო ელემენტები, რომ ის თანდათან ხდება ჩვეულებრივი ბოლშევიკების პარტიიდან მარტის ბოლშევიკების პარტიათ?

ბერლინის მემარჯვენე კადეტების გაზეთ „რულში“ ნაბოკოვი, რომელიც ამ დღეებში მოკლეს, სწერდა შემდეგ სიტყვებს ჩვენი პარტიის შესახებ: „როდესაც კომუნისტურმა პარტიამ სახელმწიფო ძალა-უფლება ჩაიგდო ხელში, ის წარმოადგენდა პატარა ჯგუფს, რომელიც შესდგებოდა ენერგიულ და იდეურ მოღვაწეებისაგან, რომლებსაც ზურგს უმაგრებდა გლეხებისა და მუშათა შორის დისციპლინით გამჭვალული რამოდენიმე მუშა კი. შემდეგ პარტია იზრდებოდა თანდათანობით, მაგრამ შედარებით ნელი ტემპით. ფრონტზე ბრძოლამ კი ხელი შეუწყო მას გაემაგრებია თავის ორგანიზაციებში რკინის დისციპლინა. უკანასკნელ ხანებში პარტიას მოაწყდა უამრავი წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტები: მოხელეები, მოსამსახურეები, უფროსი ნოქრები და სხვ. ძველ, მაგარ ძირლვებიან და მტრების ძლიერი შემოტევების შემკავებელ პარტიას დაეტყო დასუსტების ნიშანი, მას შემოეჭრა სიმსუქნე, გარდა ამისა ბევრი პარტიული მოღვაწე მოსწყდა პარტიას და დაიკავა ადმინისტრატიული ადგილები. ეს მოღვაწეები თანდათან განიმსჭვალნენ უწყებრივი და სახელმწიფოებრივი ინტერესებითაც, რომლებიც ხშირათ ეწინააღმდეგებოდნენ პარტიის მიზნებს. ამასთან ერთად შესწყდა პარტიაში იდეიური ელემენტების შემოსვლა. პარტიას ეტმასნებოდნენ უმთავრესათ ისინი, რომელთა მიზანი იყო ცხოვრების გაუმჯობესება. ამ გარემოებამ მიიქცია იდეალების ყურადღება და ისინიც შეუდგნენ პარტიის გაწმენდას. გადაწყდა ყველგან მოეწყოთ პარტიის წევრების გამოცდა. ეს გამოცდა იმაში მდგომარეობდა, რომ წევრს უნდა გამოეჩინა კომუნისტური პროგრამის ცოდნა. მიღებული შედეგები აღმოჩნდა მეტად უნაყოფიერი. ამან კიდევ უფრო შეაფიქრა პარტიის ის მეთაურები და მათაც გადასწყვიტეს მოეხდინათ წევრების პერერეგისტრაცია მთელ რუსეთში იმ მიზნით, რომ გაეძევებიათ პარტიიდან ყველა არა მუშა და გლეხები, აგრეთვე ის ინტელიგენტებიც რომლებიც პარტიაში შევიდნენ ოქტომბრის გადატრიალების შემდეგ“.

ასე სწერდა მემარჯვენე კადეტების გაზეთში ერთი ჩვენი შორსმჭვრეტელ მტერთაგანი ბურჟუაზიის ბანაკიდან. თქვენ ხედავთ, რომ ჩვენი პარტიის შინაურ ცხოვრებას თვალს არ აცილებენ ჩვენი მტრები. მემარჯვენე კადეტის მიერ ზემოთქმულში არის ისეთი რამეები, რასაც ჩვენ უნდა მივაქციოთ ყურადღება. ჩვენი მტრების [illegible] სრულიად სამართლიანია, მაგრამ ყველაზე ცუდ სამსახურს გაუწევდით პარტიას თუ ჩვენ თვალს დავხუჭავდით და ვიტყოდით, რომ მემარჯვენე კადეტის ლაპარაკს ჩვენ ანგარიში არ უნდა გაუწიოთ. ასეთი აზრი იქნებოდა ერთი დიდი სიყალბე. ყველა ის სიძნელენი, რომლებზედაც მიუთითებს მემარჯვენე კადეტი, უეჭველათ წამოჭრილი არიან იმ პარტიის წინაშე რომელიც ცხოვრებს და იბრძვის ისეთ ქვეყანაში, რომელიც გარშემორტყმულია ბურჟუაზიული სახელმწიფოებით, რომელშიაც მცხოვრებთა უმრავლესობა შესდგება არა პროლეტარიატის, არამედ გლეხკაცობისაგან. ის საფრთხეები, რომლებსაც ჩვენ ანგარიშს ვუწევთ ეხლა, რასაკვირველია, ახალი მოვლენაა შედარებით, დღეს რესპუბლიკის მდგომარეობა ჰქმნის ჩვენი პარტიისთვის სრულიად ახალ საფრთხეებს და ჩვენ არ ვიქნებოდით ბოლშევიკები, რომ შეჩვეული არ ვიყოთ საქმეს პირდაპირ თვალებში ჩავხედოთ, რომ ჩვენ არ შევძლოთ მტრების ლაყბობიდან ამოვკრიბოთ ის, რაც მათ კრიტიკაში არის ჭეშმარიტი, ფაქტებზე დაყრდნობილი, დებულებანი.

პარტიის სოციალური შემადგენლობა.

ჩვენი პარტია თავისი სოციალური შემადგენლობით არ არის ერთნაირი პირველათ ჩვენ დავაყენეთ ფართოთ კითხვა ამის შესახებ პარტიის მე 9 და თითქმის მე 8 ყრილობაზეც დღეს ის ჩვენ ხელ ახლა უნდა დავსვათ.

საჭიროა აქაც დავუბრუნდეთ საკითხის გამოსარკვევათ წარსულს. მე მაგონდება, რომ ჩვენი პირველი შეტაკებების დროს მენშევიკებთან, ზოგიერთი მათგანი, როგორც მაგ. პაველ აქსელროდი, ამბობდა, რომ ბოლშევიკური ორგანიზაცია არ არის მუშური თავისი სოციალური შემადგენლობით, ამიტომ ისინი ბოლოს გვიწყებდნენ ჩვენ ბლანკიზმში და სხვ. იყო თუ არა ამაში მართალი აქსელროდი? ჩვენი ხელმძღვანელი ორგანიზაციების შემადგენლობა [illegible] არ იყო მუშური თავის [illegible] ნაწილში. „ისკრას“ რედაქციის ძველი ორგანიზაციაც თუ მეტათ არა ნახევრათ მაინც ინტელიგენტური იყო. ეს ეჭვს გარეშეა. მაგრამ საკითხი ის იყო, და აქედან ის დასკვნა გამოგვყვა, რომელიც გამოიყვანა აქსელროდმა. ჩვენ ვამბობდით მაშინ: მართალია, კლასიური შემადგენლობა ჩვენი ორგანიზაციის, განსაკუთრებით კი ხელმძღვანელი ნაწილის დღეს არ არის წმინდა პროლეტარული, მაგრამ საფუძველი მისი არის პროლეტარული, მისი საძირკველია მუშათა კლასი, პროგრამა აქვს პროლეტარული. მუშათა კლასი გვაძლევს ახალს მასას და აძლევს საჭირო მიმართულებას. მე ამას იმიტომ კი არ ვლაპარაკობ, რომ გულდამშვიდებით ვუყუროთ ჩვენი პარტიის ასეთ შემადგენლობას. მე მოვიხსენიე ეს იმიტომ, რომ დამანახვებია, რომ კითხვა არც ისე მარტივია როგორც ბევრსა ჰგონია ჩვენს პარტიაში და განსაკუთრებით იმ [illegible] ამხანაგს, რომლებიც, აღნიშნავენ რა ფაქტს ჩვენი პარტიის არა ერთგვაროვანებისას, იწყევიან და თავს ვერ არიდებენ ფაქტებს.

მათთვის საკმაო მარტო ის, რომ ამბობენ: აი პარტიაში ჩვენა ჰყავს მხოლოთ 50 პროცენტი მუშა, 15 პროცენტი გლეხობა, დანარჩენი 35 პროცენტი კი სხვა და სხვა ელემენტებისაგან შესდგება. ამიტომ ჩვენი პარტია არ არის მუშური, მიტომ არ უნდა ავიბნა-დავიბნეთ და ისეთი ნაბიჯები გადავდგათ, რომლებიც ობიექტიურათ დიდათ საზიანოა პარტიისათვის.

ჩვენი პარტია მრავალფეროვანი იყო თავისი სოციალური შემადგენლობით 1905 წლის რევოლიუციამდისაც. სხვა და სხვა პროპორციით თვით მდგომარეობა დარჩა შემდეგაც. ის თანდათან შექმნა მუშური და ეს ცვლილება შესამჩნევი შექმნა განსაკუთრებით 1912 წლის შემდეგ, როდესაც მუშათა მოძრაობა გაფართოვდა და მიიღო ხასიათი მომავალი სოციალისტური რევოლიუციის. ეს არ იყო აქამდე 1917 წლამდი. კიდევ 1916 წელს, ცნობილ თეზისებში, რომლებიც შეიმუშავა ჩვენი ცენტრალური ორგანოს რედაქციამ საზღვარგარეთ, საკითხი რუსეთის მომავალი რევოლიუციის ხასიათის შესახებ ბუნდოვნათ იყო დასმული.

1912 წლიდან სულ თანდათან აშკარა ხდება, რომ მუშათა მოძრაობა სცილდება ბურჟუაზიულ ნაპირებს და უახლოვდება სოციალისტურ რევოლიუციას და არა მარტო ბურჟუაზიულ დემოკრატიულს, პარტიული ინტელიგენცია იგებდა, უკეთესათ რომ ვსთქვათ, იგებდა კი არა, გრძნობდა ამას და სცდილობდა პროლეტარულ პარტიის სოციალური შემადგენლობა თანდათან იწმინდება იმ ინტელიგენციისგან, იმ სტუდენტური ნაწილისაგან, რომელიც ჩვენ ბოლშევიკურ პარტიაში დიდხანს თამაშობდა თუ ხელმძღვანელს არა, ყოველ შემთხვევაში, დიდ როლს. პარტია ხდება თანდათან მუშური.

1917 წელს მდგომარეობა იცვლება. პარტიას მოაწყდა გლეხთა მასა. მე შემიძლია ამის შესახებ მოვიყვანო დამახასიათებელი ციფრები. 1917 წლამდი პარტიაში შემოსული მუშათა რიცხვი უდრიდა 53 პროცენტს, 1917-ში 65 პროცენტს. გლეხები 1917 წლამდი იყვნენ 3 პროცენტი, 1917 წელს 6 პროცენტი, 1920 ში 17 პროცენტი. 1917—20 წლები ხასიათდება მით, რომ პარტიაში შემოდის მრავალათ გლეხები. ამნაირათ მოწმენი ვხდებით [illegible] ორნაირი პროცესისა: ერთი მხრით პარტიას სცილდება ბურჟუაზიულ ინტელიგენტური ან ბურჟუაზიულ დემოკრატიული ელემენტები, მეორეს მხრით მას ემატება გლეხური და ნახევრათ გლეხური ელემენტები ე. ი. ისინი, რომლებიც 1917 წლამდი უმნიშვნელო ნაწილს შეადგენდა პარტიაში. ვინემ ჩვენ არ გვქონია კავშირი სოფელთან, 1917 წელს პარტიას ეტანება გლეხური ელემენტები, დემოკრატია იცვლება და ხდება ცვლილება პარტიის შემადგენელ სოციალური ნაწილების განწყობილებაში.

როგორ მოხდა ეს? ყველამ [illegible] ჩვენგანს ყველას გვახსოვს, თუ რაში მდგომარეობდა პარტიის ძალა თებერვლიდან ოქტომბრამდე. უმთავრესი იყო ის, რომ მუშათა კლასის მოწინავე ნაწილი ჩვენ მხარეზე იყო. თავის თავად ეს გარემოება არ ყოფილა გადამჭრელი. გადამწყვეტი იყო ის, რომ ათი მილიონი კაცისაგან შედგარი არმია ჩვენ გამოგვყვა, რადგან გამოვხატეთ მისი სურვილი ომის შეწყვეტის შესახებ. ვისგან შესდგებოდა ეს არმია? გლეხებისაგან. ისინი ჩვენ გვიგზავნიდნენ რწმუნებულებს, დაახლოებით ოქტომბრის წინა დღეებში, ჩამოვაგდებდით ბურჟუაზიას. და მათი საშუალებით დაიწყო დიდი დენა ჩვენ პარტიაში გლეხი კომუნისტების ან მათი, რომლებიც თავის თავს სთვლიდნენ კომუნისტებათ, თუმცა სრულიადაც არ ყოფილან. ეს პროცესი დაიწყო 1917 წელს. იმაში იყო ჩვენი უდიდესი ძალა. რომ ამნაირათ არ მოწყობილიყო ისტორიული პირობები, რომ ჩვენ უზრუნველყოფილი არ ვყოფილიყავით გლეხთა ათ მილიონიან არმიისაგან, ლაპარაკიც კი ზედმეტი იქნებოდა ბურჟუაზიაზე ჩვენი გამარჯვების შესახებ. ეს იყო ჩვენი უდიდესი ძალა: მაგრამ ამავე დროს იყო სუსტი მხარეც. ამან მოგვიყვანა ჩვენ გლეხკაცობის ღარიბი ნაწილები, რომლებსაც გულწრფელად მოჰქონდათ თავი კომუნისტებათ, მაგრამ ნამდვილად არ შეიძლება კომუნისტები ყოფილიყვნენ და ამნაირად შემოიტანეს ჩვენ პარტიაში მთელი რიგი შემცდარი აზრების სოფლის ცხოვრებიდან, იმ აზრების, რომლებსაც სრული უფლებით შეიძლება ვუწოდოთ წვრილ ბურჟუაზიული.

1917 წლიდან 1920 მდი ეს პროცესი ვითარდებოდა სხვა და სხვა საბით, ცოტათ თუ ბევრათ ჩქარა. წითელი არმიის საშუალებით ჩვენ რიგებს სისტემატიურათ ემატება გლეხების მთელი ფენები, უფრო სწორეთ რომ სთქვათ ფენები ნახევრათ გლეხების და ნახევრათ მუშების. ეს აჭრელებს ჩვენს პარტიას, ეს თანდათან საგრძნობი ხდება ადგილებზე ჩვენ საგუბერნიო თათბირებზე. იგივე ეჩნევა ჩვენ პარტიულ ყრილობებს. ეს ისეთი მოვლენაა, რომელსაც უნდა ჩაუფიქრდეს ჩვენი პარტიის ყოველი სერიოზული მოღვაწე.

ამნაირათ 1917 წლიდან 1920 წ.-მდი ხდებოდა ჩვენ პარტიაში დიდმნიშვნელოვანი სოციალური გადაჯგუფება. შეუძლებელია, უარვყოთ ამ გადაჯგუფების საფრთხე. და აქ არავითარი გზით არ შეიძლება გამოვიყვანოთ ისეთი ჩქარი დასკვნა, რომ, რადგან ჩვენ პარტიაში არ შედის დღეს 100—90% პროცენტი მუშების, ამიტომ ის არ არის მუშათა პარტია. ჩვენ წინ კვლავ სდგება საკითხი ჩვენი პარტიისა და მუშათა კლასის ურთიერთშორის დამოკიდებულების შესახებ, ე. ი. ავანგარდისა და დანარჩენი მასის—ერთის მხრით და ჩვენი პარტიისა და გლეხკაცობის შორის დამოკიდებულების შესახებ. მე ჯერ შევჩერდები პირველ კით-

დრომაც ის არ ეწინააღმდეგება სხვა სახელმწიფოების რეჟიმის ინტერესებს, მაგრამ მაინც არ ფიქრობს დაუშვას სხვისი ჩარევა თავის საშინაო ცხოვრების მოწყობის საქმეში. ასეთ საფუძვლებზე უნდა მოხდეს ის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც შეიკრიბა გენუის კონფერენცია, თუ კი ამ შეთანხმების ნამდვილად ცდილობს, განხორციელება. იცავს რა ამ პრინციპებს, საბჭოთა რუსეთი დარწმუნებულია, რომ ამას მხარს უჭერს ყველა ხალხების საზოგადოებრივი აზრი. თუ კონფერენციას ბედად უწერია ამას პასუხისმგებლობა ყოველთ შემთხვევაში შეუძლებელია დავაკისროთ საბჭოთა რესპუბლიკას".

ამხ. ხინჩუკი რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულების შესახებ

მოსკოვი. 24 აპრილი, (რადიო) ცენტროკავშირის გამგეობის თავმჯდომარემ ამხ. ხინჩუკმა საუბრის დროს განაცხადა: „რუსეთ გერმანიის მიღწეული შეთანხმება აუცილებელი შედეგია საბჭოთა რუსეთის და გერმანიის ერთიმეორისადმი ეკონომიური მიზიდულობისა, რამდენადაც ის ბუნებრივია და გადაჭრილი (დამახინჯებულია)... განსაკუთრებულ ინტერესს, რომელსაც უკანასკნელ ხანებში იწვევს საბჭოთა რუსეთთან სავაჭრო დამოკიდებულებათა აღდგენის პრობლემა (დამახინჯებულია).. ინგლისის, ამერიკის და სკანდინავიის კაპიტალისტები იჩენენ ტენდენციას კავშირის დასაჭერათ რუსეთის ბაზართან სწორედ გერმანიის კაპიტალის საშუალებით. ჩვენი ვაჭრობის პერსპექტივები გერმანიასთან მეტად დიდია ჩვენი მოთხოვნილებათა სფეროში და განსაკუთრებით სასოფლო მეურნეობის დარგში. ამასთან დაკავშირებით პირველ რიგში სდგას უდიდესი საჭიროება ჩვენი რკინის გზის ტრანსპორტის მოწყობისა. გერმანიის ქიმიური წარმოებათა პროდუქტებს ექნებათ დიდი მნიშვნელობა რუსეთ-გერმანიის სავაჭრო გაცვლა-გამოცვლაში.

გადამწყვეტი მნიშვნელობა გერმანიასთან ჩვენი სავაჭრო კავშირის აღდგენის საქმეში აქვს კრედიტების საკითხს. ჩვენი საგარეო ვაჭრობა მთელი რუსეთის მასშტაბით და კერძოდ კოოპერაცია საჭიროებს კრედიტებს. რამდენადაც მნიშვნელოვანი იქნება ეს კრედიტი იმდენად უფრო ფართო იქნება პერსპექტივები რუსეთ გერმანიის სავაჭრო დამოკიდებულების სფეროში. ამ მხრივ ცენტრო კავშირი თავის დანიშნულებისა და ფართო საქმიანობის გამო მოწოდებულია შეასრულოს მუშაობის მნიშვნელოვანი ნაწილი კავშირის აღსადგენად რუსეთის და გერმანიის ბაზრებს შორის"...

გაზეთი „პრავდა" რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების შესახებ.

მოსკოვი. 24 აპრილი, (რადიო) გაზეთი „პრავდა" აშკარავებს იმ თამაშს, რომელსაც ადგილი ქონდა რუსეთ გერმანიის ხელშეკრულების დადებასთან. „რუსეთის მიმართ,—სწერს გაზეთი, ორგვარი თამაში სწარმოებდა ერთის მხრივ მას უყენებდენ ისეთ მოთხოვნილებებს, რომელიც მას ჩააყენებდა ისევე მძიმე, ანტანტისაგან დამოკიდებულების პირობებში, რომელშიდაც ჩაყენებულია გერმანია და მეორეს მხრით მას აშკარად აძლევდენ ავანსს, მისი გამარჯვებულ სახელმწიფოთა კონცერტში ჩარევის სახით. ტყუილად კი არ იყო შეწვეული პოლიტიკური კომისიის სხდომები და მის მაგივრად გამართული კერძო თათბირები ინგლისისა, საფრანგეთისა, იტალიისა და რუსეთისა—თავისებური „ოთხთა საბჭოსი". მაგრამ ჩვენ, ცხადია, ძალიან კარგათ ვიცით, რომ მტაცებლობის გაძლიერებით კი არ არის შესაძლებელი ამ გაპარტახებულ მდგომარეობიდან გამოსვლა, რომ ჩვენ არ ავასრულებდით ჩვენ მოვალეობას მთელი ქვეყნის მშრომელთა წინაშე, თუ წამოვეგებოდით ამ ანკესზე და გადავარგდებოდით გამარჯვებულ ქვეყნების ბანაკში, რომელიც ბოლოს და ბოლოს ჩვენც დაგვახრჩობდა ჩვენი რევოლიუციონური მოვალეობა იყო გვეჩვენებინა ყველასათვის, რომ მტაცებლობის გზა კი არ არის ჩვენი გზა, ჩვენ ისე დაბრმავებული მოვაჭრენი კი არა ვართ, როგორც პოლონეთი და რუმინია, რომელნიც ტყუის ნაზავსათ ლამობენ გაძღნენ უფრო დიდი ხელის ნასუფრალით. ჩვენ წარმომადგენლები ვართ გამარჯვებული პროლეტარიატისა, ჩვენ მეტზე უფრო შორს ვიყურებით, ჩვენ ვიცით, რომ მიუხედავათ ჩვენი შედარებითი სისუსტისა, ჩვენ არ შეგვშვენის ვითამაშოთ როლი იმპერიალისტების ყურმოჭრილი მონებისა, როგორც ჩვენი მიზანი მდგომარეობს იმაში, რომ გამოვნახოთ, უკვე ელავს ახალი ხაზი საერთაშორისო პოლიტიკისა, რომელიც ძირითადათ განსხვავდება იმ ხაზიდან, რომელსაც აწარმოებდენ ვერსალის ხელშეკრულების ავტორები. ეს პოლიტიკა უკვე გამოკვეთილია. ღრმადა გვწამს, რომ ჩვენი საბოლოო მიზანი შეადგენს კომუნიზმის განხორციელება და ჩვენ ამ გზისაკენ წაიყვანდ უნდა გავუძღვეთ გამარჯვებულთა მახვრალი ხელიდან და ჩაგრული ხალხები. ამ ჩვენ დიად ნების ყოფას ჩვენ არ გავყიდით უპრალო ნასუფრალზე და საუკუნო ლორსებ-ნაზე მ[illegible] უსხეთ გვერდით დღევანდელ გამარჯვებულთ და ბურჟუაზიული ქვეყნების მპყრობელთ დამპალსა და მძიმე ტვირთზე".

პროლეტკულტში

ჩვენი კულტურული დამოუკიდებლობა

ამხანაგებო, ჩვენი დიადი მიზნისაკენ მთელი კომუნიზმისაკენ მუშათა მოძრაობა მიდის სხვა და სხვა გზებით. ეს მოძრაობა ისახებოდა, როგორც წმინდა ეკონომიური, პროფესიონალური, შემდეგ კოოპერატიული მოძრაობა; უფრო გვიან იწყო გრძელდა პოლიტიკური ძალად ჩამოყალიბება; კიდევ უფრო დაგვიანებით ყალიბდება კულტურულ ორგანიზაციად.

ბურჟუაზიული მსოფლიო არა მარტო ძალადობით ებრძოდა ახალ ცხოვრების ამ ნაკადულს: ჯერ კიდევ იმ თავითვე იგი ცდილობდა მშვიდობიანად დაეუფლებდა მათ, აილო თავის ოპეკაში და ამ საქმეს ის მრავალ ხანს ახერხებდა. პროლეტარიატს, რომელიც გამოვიდა წვრილ მესაკუთრეთა კლასიდან, ბევრ ხანს თვითონ არ ესმოდა მთელი სიღრმე თავის წინააღმდეგობისა კერძო საკუთრებისა და მეპატრონის ძალათ უფლებაზე აგებულ საზოგადოებასთან,—იგი ყოყმანობდა კლასების ბრძოლასა და თანამშრომლობას შორის, ეკიდლებოდა ბურჟუაზიულ პარტიებს, ემორჩილებოდა ბურჟუაზიულ ცნობებს ცხოვრების შესახებ.

ამ ოპეკის დაძლევა ხდებოდა ნელა, თანდათანობით; იყო შეჩერება, იყო კვლავ გადახვევა კლასობრივ დამოკიდებლობისაგან იდეურ ოპორტუნიზმისაკენ, რომელიც აკავშირებდა მას უცხო საზოგადოებრივ ძალებთან. და როცა საერთაშორისო სოციალიზმის უდიდეს ზრდას, საფიქრებელი იყო, საბოლოოდ უნდა განემტკიცებინა პროლეტარიატის დამოუკიდებელი ტაქტიკა ყველა დარგში, მაშინ გაჩნდა მსოფლიო ომი და თავი იჩინა პროლეტარულ კლასობრივ შემეცნების [illegible] კრიზისმა.

მუშების უმრავლესობა, თვით მოწინავე ქვეყნებშიაც კი, გაჰყვა ბურჟუაზიას არა შიშით, არამედ სინდისით, მისი ეროვნული იდეოლოგიები თავის კლასობრივ ინტერესებზე მაღლა დააყენა. შეკრა თავის კაპიტალისტებთან ზავი და კავშირი, რათა საერთო ძალღონით გაეჟლიტა მტრები—თავისი გუშინდელი და ხვალინდელი ამხანაგები. და პროლეტარიატის აზრი და გრძნობაც აღმოჩნდა სინამდვილეში არა სუფთა და მტკიცე, რატომ? იმიტომ რომ იგი წააწყდა ახალ, ფრიად ძნელ საკითხს და არ მოეპოვებოდა საკმაოდ ღრმა, მთლიანი აღზრდა, რათა გადაეწყვიტა ის მტკიცედ და გადაუხვევლად, თავისებურად, თავის ამოცანების და თავის იდეალის თვალ-საზრისით ვერ შესძლო ამგვარად გადაეწყვიტა ეს საკითხი და კლასი დაემორჩილა სხვის გადაწყვეტას, ისეთს, რომელსაც აძლევდა მას გარეშე წრე—კაპიტალისტური მსოფლიო.

კლასისათვის მთლიანი აღზრდის მიცემა, რომელიც სასწორით წარმართავს კოლექტიურ ხელისუფლებას და აზროვნებას უცილოდ ახლოს დამოუკიდებელ სულიერ კულტურის გამომუშავებას. ასეთი გააჩნდა ბურჟუაზიულ კლასებს,—ამაში მდგომარეობდა მათი სიძლიერე; ასეთი აკლია პროლეტარიატს, ამაშია მისი სისუსტე. რომ ის ყოფილიყო საკმაოდ დამოუკიდებელი კულტურულად, მაშინ არავითარი, ფრიად ძნელი და ახალ გარემოებაშიაც, მთელ ქვეყნებს არ შეეძლოთ ეკარნახებიათ მისთვის თავისი აზრი, შთაეგონებიათ მისთვის თავისი გატაცება, მოეხიბლათ თავისი საწყლობით, გაეხადათ თავისი იარაღად.

მუშათა კლასის კულტურული მოძრაობა ჩამორჩა ეკონომიურ და პოლიტიკურს, ეხლა ჩვენ ვხედავთ, თუ რა ძნელი გავლენა იქონია ამან მუშათა კლასზე და მთელ მის ისტორიულ ბედ-იღბალზე ჩვენს ეპოქაში. უფრო ძნელი გავლენა იქონია ამ ჩამორჩენილობამ რუსეთის პროლეტარიატის ბედზე იმით, რომ ხელი შეუშალა მოწინავე ქვეყნების მუშებს დახმარება გაეწიათ ჩვენი რევოლიუციისათვის მის ბრძოლაში მეგობრობისათვის, მის ბრძოლაში ცხოვრებისათვის მტრების წინააღმდეგ, რომელნიც შემოესივნენ მას შიგნიდანაც და გარედანაც.

დეე მუშათა კლასმა მოიკრიბოს უდიდესი ძალ ღონე ამის შესაქმნელად, რაც მას ასე აკლია, დეე კულტურული დამოუკიდებლობა იყოს მორიგი და ამიერიდან მუდმივი მისი ლოზუნგი.

ახალი კულტურა უნდა დაეუფლოს პროლეტარიატს არა ზერელედ და ნაწილობრივად, არამედ ღრმად და მთელი სიგრძე-სიგანით. ჩვენ ვიცით: არსებობს პროლეტარული პოლიტიკა მაგრამ ჯერ კიდევ რამდენი ურევია მასში უცხო ნაბიჯზე მიმბაძველი, სულით ბურჟუაზიული, პოლიტიკანობა. არსებობს ამხანაგური კავშირი და ამხანაგური დისციპლინა; მათშია სული, მათშია ძალა კლასობრივ ორგანიზაციის; მაგრამ განა ჩვენ არ ვხედავთ, თუ როგორ ხშირად არღვევს მათ წვრილმანი ეგოიზმი, კარიერიზმი, პირადი თავმოყვარეობის კონკურენცია, ძალაუფლების წყურვილი ზოგიერთების მხრით, ბრმა ნდობა და შეუგნებელი მორჩილება სხვების მხრით—ძველი საზოგადოების მემკვიდრეობა მისი დაქსაქსულობით, ბრძოლით ყველასი ყველას წინააღმდეგ, ზოგიერთების დამამონებელი ძალაუფლებით და სხვების შინაური მორჩილებით.

ვითარდება მარქსის დროიდან პროლეტარული კულტურა; მაგრამ რა რიგ მცირედ შეჭრილა ის მასებში, მის გვერდით რამდენი სარწმუნოებრივი ცრუმორწმუნეობა და წარსულის ძველი აზროვნების სხვა ნაშთების არის კიდევ ძალაში; გარდა ამისა ცოდნის რამდენი დარგი ჯერ კიდევ ხელუხლებელია და დაუმუშავებელი პროლეტარულ საზრომო თვალსაზრისით, აქ სპეციალისტების მაძიებელი მუშა იძულებულია პირდაპირ მიიღოს ის, რასაც იძლევა ბურჟუაზიული ინტელიგენციით, ამასთან ერთად ძალაუნებურად და შეუმჩნევლად განიცდის მათი იდეური გავლენა, დაემორჩილოს მათ აზრების წყობას.

ისახება პროლეტარული ხელოვნება; მაგრამ რა რიგ ნორჩი სუსტია ეს ჩანასახი, რა ბევრია შიგ მიბაძვა წარსულის უცხო ფორმებისადმი, რა ცოტა შეგნება თავისი ახალი ბუნების, თავის საკუთარი გზების.

დიახ, ამხანაგებო, პროლეტარიატის კულტურული განთავისუფლება აუცილებელია, ბრძოლა მისთვის გადაუდებელია; ესაა ბრძოლა ნამდვილ და სრულ კლასობრივ თვითგამორკვევისათვის. მაგრამ ეს სრულებით არ ნიშნავს პირდაპირ კავშირის გაწყვეტას ძველი ქვეყნის მთელ მდიდარ კულტურასთან. არა, პროლეტარიატი კანონიერი მემკვიდრეა ამ კულტურის ყველა ძვირფას, როგორც სულიერ, ისე ნივთიერ მონაპოვარისა; ამ მემკვიდრეობაზე მას არ შეუძლია და არც უნდა თქვას უარი. მაგრამ ამ მემკვიდრეობას უნდა დავეუფლოთ ისე, რომ თვითონ არ დაეუფლოს პროლეტარიატის სულს, როგორც მკვდარი კაპიტალი ფლობს ბურჟუაზიის სულს,—ის უნდა იყოს მხოლოდ იარაღი პროლეტარიატის ხელში. ძველ კულტურაში ყველაფერი ის, რაც მისთვის სასარგებლოა, შერეულია მასთან, რაც მავნებელია მისთვის, რასაც შეუძლია დააბნელოს და შეასუსტოს მისი კოლექტიური შემეცნება. რამდენადაც ეს ასეა, პროლეტარიატმა უნდა შეისწავლოს სისწორით გარჩევა მისთვის ყველა მავნებელი და უხილავ წარსულის მემკვიდრეობაში და მოსპოს ეს მხარე თავისი დაუზოგველი კრიტიკით. კრიტიკა კი თავის მიზანს სავსებით აღწევს მხოლოდ მაშინ, როცა ის [illegible] [illegible] ის უნდა შე[illegible] პროლეტარიატის დამოუკიდებელ [illegible].—ამგვარად, კულტურული დამოუკიდებლობა ერთად ერთი გზაა იმ სულიერი საგანძურის სრული და [illegible], რომელიც დღევანდლამდე შეუქმნია კაცობრიობას.

ჩვენ ვხედავთ: უშველებელია წინ მდებარე მუშაობა, უდიდესია სიძნელე და დაბრკოლება იმ საქმის გზაზე, რომლისაკენ ჩვენ მოუწოდებთ ამხანაგებს მაგრამ არა ადვილი ამოცანებისათვის მოვიდა ქვეყნად პროლეტარიატი. და ჩვენ გვწამს, მისი კოლექტიური ძალა თავის ძლიერ ზრდაში და თვით ორგანიზაციაში ყველაფერს დასძლევს, ყველაფერს მიაღწევს.

გაუმარჯოს პროლეტარულ კულტურას, მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვების უდიდეს იარაღს.

გაუმარჯოს პროლეტარულ კულტურულ ორგანიზაციას საქართველოში.

სრულიად რუსეთის პროლეტკულტის ცენტრალური კოლეგია.

ქრონიკა

— **ლტოლვილების შესახებ.** საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის განკარგულებით აჭარის ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატს გაეხსნა სათანადო კრედიტი ბათომში თავმოყრილ ლტოლვილთა შორის გავრცელებულ სახადთან საბრძოლველად. ვიდრე აჭარის სახალხო კომისართა საბჭო თავის თავზე აიღებდეს ყოველ ვე ხარჯებს, წინადადება მიეცა საქართველოს სურსათის სახალხო კომისარიატს მიაწოდოს სურსათი აჭარის საავადმყოფოებს.

— **სარევიზიო კომისია.** ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან დაარსდა აგრეთვე ამხ. მამია ორახელაშვილის თავმჯდომარეობით სარევიზიო კომისია, რომლის მოვალეობას შეადგენს რესპუბლიკის ყველა სახელმწიფო დაწესებულებების ყოველმხრივ ფაქტიური რევიზიის გაწევა.

თეატრი და ხელოვნება

— **ნ. ბარათაშვილის აკადემიური გამოცემა.** ნ. ბარათაშვილის ხელისმომწერთა საყურადღებოდ ცხადდება, რომ ვინც ბარათს წარადგენს შეუძლიათ წიგნი მიიღონ ქ. შ. წ. კ. წიგნის მაღაზიაში („ორიანტის" ქვეშ) წიგნი რიგდება პირველ აპრილიდან და შეწყდება პირველ ივნისს.

— **სახალხო განათლების კომისარიატთან არსებულ მთავარ სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაცია.** მოხდა მთავარ სახელოვნო კომიტეტის რეორგანიზაცია, კომიტეტი შესდგება 7 პირისაგან. აქედან თავმჯდომარე და ერთი წევრი ითვლებიან შტატებში. დანარჩენი 5 წევრი ესწრებიან სხდომებს. თავმჯდომარე: გოგოლ რობაქიძე, წევრები: შ. დადიანი (უჩმიკი), ს. აბაშელი, მელიტონ ბალანჩივაძე, კოტე მაყაშვილი, ალ. წუწუნავა და დიტო შევარდნაძე. პირველი სხდომა ახალი სახელოვნო

ხვაზე—მუშათა კლასის ავანგარდთან ჩვენი დამოკიდებულებაზე.

პარტია და მუშათა კლასი.

თეზისებში, რომლებსაც მე თქვენ წარმოგიდგენთ ნათქვამია, რომ ჩვენი რევოლიუციის მსვლელობის პირობების გამო ჩვენი პროლეტარიატი კლასიურათ დაიშალა, რომ ამ აზრით მუშათა კლასის ერთიანობა დარღვეულია. მუშათა კლასი გაიფანტა საბჭოთა რუსეთის სოფელში და ქალაქში, ნაწილი შეეხიზნა სოფელს, ნაწილი კი იძულებულია თავი ირჩინოს ხელობის მეშვეობით გამოცვლით, თითქმის ყოველთვიურათ ჩვენ მოგვეპოვება შედარებით მცირე რაოდენობის მუშათა კლასი. ეს მოვლენა, რასაკვირველია, დროებითია. თუ მოვახერხეთ, მსხვილი მრეწველობის აღდგენა, რამდენადაც ჩვენ ეს არ შეგვიძლის, მაშინ მთელ რუსეთში დაფანტული მუშათა კლასი თანდათან მოგროვდება ისევე ფაბრიკებში და ზავოდებში. დღეს კი კლასიურათ დაშლის შედეგები განსაკუთრებული სიცხადით და დამტკიცებულათ ჩანს. მე ვიცი, რომ თვით ჩვენ საუკეთესო სამრეწველო ცენტრებშიაც, როგორც არის პეტროგრადი და მოსკოვი, საუკეთესო ზავოდებშიც, როგორც პუტილოვის პეტროგრადში, მოიძებნება კიდევ მუშათა ცენტრი, მაგრამ არა დიდი ხარისხის მატარებელი დღეს. ჩვენ უნდა დავინახოთ მუშათა კლასი ისე, როგორადაც ის არის სინამდვილეში. როდესაც სიეზდზე გამოდიან ამხანაგები, თავის მფარველობის ქვეშ იღებენ მუშათა კლასს და ამბობენ: ნუ ბედავთ მისი კლასიურათ დაშლაზე ლაპარაკს, ჩვენ ვეტყვით ასეთ ამხანაგებს: „ჩვენთვის არ მოიპოვება არაფერი უფრო დიადი, ვინემ მუშათა კლასი, ჩვენ ყველა მისი ახლოებით მას დღეს და მომავლისაც სულის უკანასკნელ ამოსვლამდე. მაგრამ ეს სწორი მუშათა კლასი—ეს არ ნიშნავს პირფერობით უქნა მას. პროლეტარიატის კლასიური დაშლის უარი ყოფა, დანახვა მისი სხვანაირათ, ვინემ არის—ეს ნიშნავს იმას რომ მოუსპო პარტიას საშუალება აკეთოს ის, რაც მის მოვალეობას შეადგენს. რაც უფრო ნათლათ დაინახავს საფრთხეს ჩვენი პარტია, მით უფრო დაეხმარება ის პროლეტარიატს განიკურნოს თავისი სენისაგან.

დამოკიდებულება გლეხობასთან.

ახლა მე გადავდივარ მეორე საკითხზე—ჩვენ დამოკიდებულებაზე გლეხობასთან. ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიაში ოცი პროცენტი წევრებისა—გლეხობაა. ჩვენ ვხედავთ, რომ პარტიამ უნდა მართოს ქვეყანა, რომლის მცხოვრებთა უმრავლესობა გლეხობისაგან შესდგება. ეს გარემოება პოულობს გამოხატულებას ყველა მნიშვნელოვან კრიზისში. როდესაც ჩვენ ყრილობაზე გამოდიოდნენ ამხანაგები და ედავებოდნენ ლენინს იმ თეზისის სიმართლეში, რომ მუშებმა არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი ვალდებულნი არიან გლეხკაცობის ძმართ, მე მგონია, რომ ამ კითხვაში ისინი მენშევიკების თვალსაზრისს იცავენ ან საზოგადოთ სრულიად ვერ ერკვევიან მას. მენშევიკები 1905 წლამდი და მას შემდეგაც ჩვენ გვეკამათებოდნენ სწორეთ ამ საკითხში, გაიხსენეთ ჩვენი დისკუსიები იმაზე, რომ მუშათა კლასი უნდა იყოს გეგემონი რევოლიუციაში. რა გვინდოდა ჩვენ მათ გვეთქვა ჩვენ გვინდოდა გვეთქვა, რომ მუშათა კლასმა უნდა შეხედოს თავის თავს არა თავისი საკუთარი ვიწრო, არამედ სახელმწიფოებრივი ინტერესების თვალსაზრისით. მუშათა კლასი ესწრაფვება უფრო მეტისკენ, ვინემ არის სახელმწიფოში მარტო თავისი არსებობის პირობების გაუმჯობესება, მას სურს გამგებლობა, ხელმძღვანელობა ჩვენ ქვეყანაში. მენშევიკები გვეუბნებოდნენ მაშინ, რომ ეს არის ბურჟუაზიულ დემოკრატიული თვალსაზრისი. რასაკვირველია, ჩვენ პარტიას თუ გინდ ერთი წამითაც დაევიწყებოდა, რომ მან უნდა უხელმძღვანელოს გლეხკაცობას და ანგარიში გაუწიოს მის ინტერესებს და მისწრაფებებს—ეს ძალიან სამწუხარო შედეგებს გამოიღებდა ჩვენთვის. ჩვენ, რომლებიც ვმუშაობთ ქვეყანაში, რომლის მოსახლეობის დიდ უმრავლესობას გლეხკაცობა შეადგენს, ჩვენ როგორც მუშათა კლასი, რომელმაც ხელში აიღო ქვეყნის მართვა გამგეობის საქმე, ჩვენ შეგვიძლია ვიხილოთ მდგომარეობა და შეგვიძლია მივსცეთ მუშათა კლასს ნამდვილი და არა ფიქტიური საშუალება თანდათან მისი მდგომარეობის გაუმჯობესების, მხოლოთ იმ შემთხვევაში თუ საბჭოთა ძალაუფლებას შევინარჩუნებთ ე. ი. თუ შევინარჩუნებთ კავშირს გლეხკაცობასთან კითხვას გლეხობასთან ურთიერთობის შესახებ აქვს არა მარტო სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური, არამედ შიგნი პარტიული მნიშვნელობაც. ვინც გაიგო ეს დებულება, ის სწორათ მიუდგება ჩვენი პარტიის სოციალური შემადგენლობის საკითხს. ძალიან ადვილი საქმე იქნებოდა აგვეღო სტატისტიკა, სადაც ციფრები მოგვმარჯვებია და გვეთქვა: 50 თუ 19 პროცენტი მუშების, მაშ პარტია არ არის მუშური. ვინ არ იცის ეს? რასაკვირველია, საზიანო იქნებოდა ამის შეუნიშნებლობა და უყურადღებოთ დატოვება. მაგრამ საჭიროა ჩავუკვირდეთ მდგომარეობას ისე, როგორადაც ის არის. მისი გამარტივება არ გამოგვადგება. იმ ამხანაგებს, რომელნიც ამას ჩადიან, ჰგონიათ, რომ აწარმოებენ კრიტიკას მარცხნიდან, ნამდვილათ კი ეწევიან შესაბრალებელ, უბადრუკ მუშაობას და იმეორებენ მენშევიკების ნათქვამს, ხოლო გარემოებების დროს, თორმეტი წლის წინათ. ნუ გამიწყრებით ამხ. მედვედევი და შლიაპნიკოვი თუ ვიტყვი, რომ ხშირათ ისინი ჰბაძავენ [illegible]ლაროდს, თუმცა თვითონ კი დიდ რევოლიუციონერებათ მოაქვთ თავი. მუშათა კლასის დამოკიდებულება გლეხკაცობასთან გავლენას ახდენს ჩვენ პარტიის მდგომარეობაზე კერძოთ. თუ გლახა, რომ ჩვენი პარტიის შემადგენლობაში 25 პროცენტს გლეხკაცობა შეადგენს? მე ამ კითხვაზე ვუპასუხებთ კითხვით—მე თქვენ გეკითხებით, შეგვიძლია თუ არა მოვაწყოთ წითელი არმია უიმისოთ რომ მივიღოთ ჩვენ რიგებში წითელი არმიის საშუალებით გლეხკაცობა? საიდან შემოვიდნენ გლეხები პარტიაში. ეს დაიწყო 1917 წლიდან ოქტომბრის შემდეგ. ის დაიწყო [illegible] კომიტეტებიდან ნაწილობრივ და უმთავრესათ კი წითელი არმიიდან, კომბედირების კურსებიდან, რომლებიც ჩვენ ასე გვესაჭიროება და რომლებითაც ვმაგრდებით ჩვენ. ეს ელემენტები ნაკლებათ გლეხურ სხვათ მუშურია, რომელიც ბევრი მხრივ უფრო ჩამორჩენილია, ვინემ სამრეწველო პროლეტარიატი, სთქვას თუ არა პარტიამ ამ წევრების მიღებაზე უარი? არა, არ სთქვას და არც შეუძლია თქვას. ჩვენი ძალა იმაში მდგომარეობს, რომ ამ ნაწილების საშუალებით ჩვენ გვაქვს კავშირი სოფელთან. მე არ ვიტყვი, რომ ამ მოვლენაში არ უნდა დავინახოთ საფრთხე. ჩვენ ამ საფრთხეს ვხედავთ და განვიხილავთ ის, რომლებითაც ვცდილობთ თავიდან ავიცილოთ ის. რასაკვირველია, როდესაც სოფლიდან წითელ არმიაში მიდის ათი ათასობით ამხანაგები, რომლებიც ამდენ ხანს ჩათრეული ყავდა სოფლის სიბნელეს, თავის სოფლის გარეთ არა იცოდნენ რა, არ შეეძლოთ წერა და კითხვა, სწავლის [illegible] და სხვ. ამის გამო პარტიაში შემოდის ისეთი ელემენტები, რომელიც ტვირთათ აწევს მას და რომელსაც შეუძლია ავნოს მას, და რომელსაც უნდა დავეხმაროთ, რათა ის ამაღლდეს სამრეწველო პროლეტარიატის განვითარების დონემდე. მაგრამ მე მგონია, რომ ჩვენი პარტია შეიძლება დაიჩქის მით, რაც ის არის დღეს და სისწორით შეიმუშავოს ნორმალური დამოკიდებულება გლეხკაცობასთან.

საჭიროა გარდა ამისა მივუთითო მეორე სახიფათო მხარეზე. მე სახეში მაქვს ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ჩვენ ვართ ერთად ერთი ლეგალური პარტია და ამნაირად გვიპყრია ლეგალობის მონოპოლია, ეს ლეგალობის პარტიული პატრიოტიზმის ყურთამხნას, მაგრამ ვსთქვათ უფრო გარკვევით, ჩვენ გვაქვს ლეგალობის მონოპოლია, ჩვენ უარი უთხარით პოლიტიკურ თავისუფლებაში ჩვენ მოწინააღმდეგებს. ჩვენ არ ვაძლევთ ლეგალური მუშაობის საშუალებას მათ, ვისაც სურს ჩვენი ადგილი დაიკავონ, ჩვენ მოუსპეთ ლაპარაკის საშუალება მენშევიკებს და ესერებს. სხვანაირათ ჩვენ არ შეგვეძლო მოვქცეულიყავით. პროლეტარიატის დიქტატურა, როგორც ამხ. ლენინი ამბობს არის ძალიან სასტიკი რამ, რათა უზრუნველ ყოფილ გახდეს პროლეტარიატის დიქტატურის გამარჯვება, შეუძლებელია არ გადავსტყორცნოთ ხერხმალი ამ დიქტატურის ყველა მოწინააღმდეგეთ, ჩვენ სისწორით ვიმოქმედეთ და არც ახლა შეგვიძლია მოვიქცეთ სხვანაირად და ვერც ვერავინ განსაზღვრავს დროს, როდის შეგვეძლება თავი დავანებოთ ამ ზომებს.

ეს იქნება შესაძლებელი მხოლოთ მაშინ, როდესაც საბოლოოთ განვმტკიცდებით და არ ვიქნებით გარშემორტყმული ბურჟუაზიული სტიქიით. მაგრამ არა მარტო ჩვენი ცენტრალური კომიტეტის, მაგრამ უფრო მეტის, ჩვენი რევოლიუციის რკინის ლოღიკის აუცილებლობიდანაც გამომდინარეობდა ჩვენთვის ერთი უარყოფითი მოვლენა, რომ პარტიაში გვესევიან კარიერისტები ეს არის ნახევარი უბედურება, ჩვენ მათ წინააღმდეგ კიდევ შევძლებთ ბრძოლას მექანიკური ზომებით გენერალური შეხებით, რომელმაც ამ მათში ძლება ვერ გამოილო ზედმეტი 50 პროცენტით მაინც. მათ წინააღმდეგ ვინც პირადი ინტერესებისათვის შემოდის პარტიაში, ბრძოლა თუმცა არც ძალიან ადვილია, მაგრამ მაინც შეიძლება. მე მხედველობაში მაქვს არა ეს მოვლენა, რომელიც შედარებით უმნიშვნელოა. არა, არის ნეტა რა მას შემდეგ რაც ჩვენ შევქმენით მონოპოლისტები პოლიტიკური ბრძოლის ასპარეზზე, ჩვენთან მოდის ისეთი ელემენტები, რომელიც სხვა დროს წავიდოდა მენშევიკებთან ან ესერებთან. ეს მოვლენა სრულიად სტიქიურია რომელიც იყო აუცილებელი გარკვეულ დროის განმავლობაში და შეიძლება კიდევ გაგრძელდეს რამდენიმე ხანს. და მართლაც ჩაუკვირდით თქვენ ცხოვრებას ისე, როგორადაც არის ის: ახალგაზრდა გლეხი, რომელმაც გაიარა წითელი ყაზარმის ცხოვრება, ნახა ქალაქი ან და წვრილი ობივატელი, თავის კლასს მოწყვეტილი მუშა, რომელმაც შეითვისა წვრილი ბურჟუაზიისაგან ყოველივე ის რაც არის ცუდი მის ცხოვრებაში—ყველა ეს ელემენტები, თავისებურად აქტიური, რომლებსაც სურთ მიიღონ მონაწილეობა პოლიტიკურ ბრძოლაში. მათ წინ ეხირება ხიდი, რომელსაც ეწოდება რუსეთის კომპარტია. ისინი ჰხედავენ, რომ არ შეუძლიათ მიიღონ მონაწილეობა სამეურნეო ცხოვრებაში, თუ არ ექნათ ასეთი თუ ისეთი დამოკიდებულება ჩვენ პარტიასთან და იწყებენ ჯერ ერთი ფეხით, მერე მეორეთი პარტიაში შემოსვლას. მათ გულწრფელად სწამთ, რომ ისინი კომუნისტებად არიან. ეს მოვლენა მასსიურია, სტიქიური, და ეს უნდა ვიქონიოთ მუდამ მხედველობაში. სანამ ლეგალობის მონოპოლია ჩვენ ქვეყანაში ჩვენ ხელშია—ხოლო ასეთი მდგომარეობა გაგრძელდება კიდევ რამდენიმე წელი—ჩვენ პარტიაში შემოიჩრებიან, არ ვიტყვი, რომ ბოროტგანზრახული ელემენტები ეგოისტური მიზნებით, არამედ მოსახლეობის ყველაზე უფრო აქტიური ნაწილი, რომელსაც სურს მონაწილეობა მიიღოს სამეურნეო ცხოვრებაში და აღმშენებლობაში. ისინი ძალაუნებურად შემოიჩრებიან ჩვენ პარტიაში, თუმცა სხვა პირობები რომ ყოფილიყო, ისინი სრულიადაც ვერ მოხვდებოდნენ იქ. სწორედ ასეთი ელემენტები არის ჩვენ პარტიაში და მათი გაყრა იქიდან ძალიან ძნელია პირველი ის, რომ ასეთი ელემენტები ძნელი შესამჩნევია, რადგან ისინი არიან არა ბოროტ განზრახველნი, არამედ თვითონაც ვერ უცვნიათ ჯერ კიდევ თავისი თავი კარგად. ეს ისეთი ელემენტია, რომელიც თავის მოქმედებით ისეთ მდგომარეობას ქმნის თითქოს ჩვენ ორი პარტია გვქონდეს ერთში. აი რატომ არის, ამხანაგებო, საჭირო, რომ ეს სიძნელე ჩვენ ადვილად დავინახოთ.

მე ვიცი, რომ ჩემ სიტყვებს ხელზე დაიხვევენ ჩვენი მტრები და იტყვიან: „მაშ თქვენ თვითონ აღიარეთ, რომ ლეგალობის მონოპოლია თქვენ გიპყრიათ". მაგრამ ჩვენ არ ვმალავთ იმ სიძნელეთ, რომლებიც გვიძევს სავალ გზაზე, ეს სიძნელენი ურიცხვათ ბევრია, ჩვენ არ ვერიდებით მათზე ვილაპარაკოთ და თითოეულ თითონ, ხოლო შიგა შიგ ვეწოდოთ. მუშათა პარტიამ, მუშათა დიქტატურამ უნდა შეავიწროვოს და მოგუდოს ბურჟუაზია, რათა თავისი დიქტატური სინამდვილეთ აქციოს, რომ ამ გზაზე მას შეხვდება დაბრკოლებანი და სიძნელები, ეს ცხადია, ის ამას ჰხედავს და ანგარიშს უწევს, მაგრამ ის არ მიმართავს ამ სიძნელეთა გამო ასეთ შემცდარ საშუალებას, რომელიც ფაქტიურად მომასწავებელი იქნებოდა მენშევიზმის რესტავრაციის, საზოგადოდ ბურჟუაზიული წესწყობილების აღდგენის. მე ხშირად შემინიშნავდნენ ხოლმე: „თქვენმა კომინტერნმა მეორე კონგრესზე სთქვა, რომ თქვენ სახელმწიფოს ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ გეყოლებათ კომუნისტურ პარტიაში მთელი მუშათა კლასი ერთიანად; ეს მართალია. კომინტერნის მეორე კონგრესმა მიიღო ჩვენი რეზოლიუცია პროლეტარული პარტიის როლზე კომუნისტურ რევოლიუციაში და იქ სწერია: „სანამ პროლეტარიატს სახელმწიფო ძალა-უფლება არ დაუპყრია, სანამ პროლეტარიატს ერთხელ და სამუდამოთ არ განუმტკიცებია თავისი მდგომარეობა და არ უზრუნველუყვია ის ბურჟუაზიული რესტავრაციისაგან—მანამდე კომუნისტური პარტიას ეყოლება თავის ორგანიზაციებში მხოლოდ უმცირესი ნაწილი მუშების. ძალაუფლების დაპყრობამდე და გარდამავალ ხანაში კომუნისტურ პარტიას შეუძლია ხელსაყრელ პირობებში სარგებლობდეს იდეიურ პოლიტიკური გავლენით ყველა პროლეტარული და ნახევრად პროლეტარულ მასებზე, მაგრამ ორგანიზაციულად მათი გაერთიანება თავის რიგებში კი არ შეეძლება. მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის დიქტატურა წაართმევს ბურჟუაზიას გავლენის ისეთ იარაღს, როგორიც არის: პრესა, სკოლა, პარლამენტი, ეკლესია, მართვა-გამგეობის აპარატი და სხვა. მხოლოდ მას შემდეგ, რაც საბოლოო დამარცხება ბურჟუაზიული წესებისა აშკარა გახდება ყველასთვის, მხოლოდ ამის შემდეგ შემოვლენ პარტიაში ყველა ან თითქმის ყველა მუშები"?

მე ვამტკიცებ, რომ ეს თეზისი აბსოლიუტიურად მართალია დღეს. როდესაც საბოლოოთ განმტკიცდება ჩვენი ძალა-უფლება, ყველა მუშებიც მაშინ შემოვლენ ჩვენ პარტიაში. მაგრამ ჩვენ ხომ დღეს დაგვიწერა იგივე რეზოლიუცია, შეიძლება მას მივუმატებდით კიდევ: „მხოლოდ მას შემდეგ, რაც პროლეტარიატის დიქტატურა უზრუნველჰყოფს მისთვის ქვეყნის მეურნეობის აღდგენასაც". ეს მომენტი უნდა მიემატოს, მაგრამ ის იგულისხმება უკვე იმ ციტატაში, რომელიც მე თქვენ წაგიკითხეთ. ასეთია პროლეტარული რევოლიუციის მიმდინარეობა. ჩვენ დღეს განვიცდით ისეთ მომენტს, რომ თუ განხორციელდა ეს უკანასკნელი შესაძლებლობა, მოხდება ქვეყნის მეურნეობის აღდგენა, მაშინ ერთბაშად წამოვა ჩვენკენ მუშათა კლასი მთლიანად მაშინ ჩვენ წინ დადგება კითხვა იმის შესახებ, თუ როგორ დამოკიდებულებაში ვიყოთ იმ ცნებებთან, რომლებიც ხელახლად ისევ ჩვენკენ დაბრუნდებიან. მაშინ შეიცვლება მუშათა კლასის ძირითადი სულისკვეთება, მაშინ აღარ შეიძლება ლაპარაკი პარტიის კლასიურად დაშლაზე, მაშინ ხელახლა დადგება კითხვა მისი სოციალური შემადგენლობის შესახებ, როგორც ის დგას დღეს.

ახალი ეკონომიური პოლიტიკის გავლენა პარტიაზე.

ახლა მე უნდა შევჩერდე იმაზე, თუ როგორ გავლენას მოახდენს ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჩვენს პარტიაზე. იგივე მენშევიკი, რომლის აზრი მე თქვენ მოგიყვანეთ, სწერს: „კიდევ რამდენიმე თვის წინად კომუნისტები, კითხვაზე იმის შესახებ, თუ როგორ გავლენას მოახდენს ახალი ეკონომიური პოლიტიკა პარტიაზე, მხოლოდ იღიმებოდნენ და იძლეოდნენ ერთ პასუხს: „არასდროს გავლენას არ მოახდენს. პარტია შედუღებულია რკინის დისციპლინით".

მე მეცნობება თქმა, იყო თუ არა ჩვენ წრეებში ასეთი სულიერი განწყობილება. მე მგონია, რომ არ იყო და თუ ვინმე ამას ამბობდა, ის ღრმად სცდებოდა. რასაკვირველია, არავის არ შეეძლო ეთქვა, რომ ის უდიდესი გარდატეხა, რომელსაც დღეს აქვს ადგილი არავითარ გავლენას არ იქონიებს პარტიაზე. ეს ცხადია. მაგრამ პარტიის და მომავალი ც. კ. სწორი ხაზი კარგად იმოქმედებს, მას შეიძლება მოყვეს შედეგად პარტიის თვით გაწმენდა და მისი შემადგენლობის განახლება. ხომ შემთხვევითი არ არის, რომ პარტიის წმენდა მოხდა ახალ ეკონომიური პოლიტიკის დროს. რასაკვირველია ეს პოლიტიკა დიდ გავლენას მოახდენს პარტიაზე. აქ ბ. ბ. მენშევიკები მართალნი არიან. მაგრამ ჩვენ სრულიადაც არა გვგონია [illegible] [illegible] ქვეშ შევაფარო თავი მეხს ჩვენ ვლაპარაკობთ: ახალი ეკონომიური პოლიტიკა გავლენას იქონიებს პარტიაზე და მწვავე დააყენებს კითხვას ერთიანობის შესახებ პარტიაში, სხვა და სხვა გადაჯგუფებაზე და ნაშთებზე, რომლებსაც თუ დროზე [illegible] თავი შეუძლიათ მოახდინონ [illegible] გავლენა იქონიონ პარტიის ორგანიზმზე ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარული დიქტატურის გზა არ არის ვარდებით მოფენილი და შეიცავს ისეთ სიძნელეს, რომლებიც ჩვენ უნდა ვძლიოთ, სხვა პირობებისათვის, რომლებსაც მუშაობა მოუწევს სხვაგვარ პირობებში, უფრო ადვილი იქნება მოღვაწეობა, ჩვენ კი არსებულ პირობებში უნდა ანგარიში გავუწიოთ დიქტატურას ისე, როგორაც არის ის ნამდვილად, მისი დაბრკოლებებით.

(შემდეგი იქნება)

კომიტეტის დანიშნულია შაბათს, 12 საათზე, დღით.

— **საღამო სახალხო სახლში ავადმყოფ მწერლის ტრ. რამიშვილის სასარგებლოთ.** 29 აპრილს, სახალხო სახლში, გაიმართება ავადმყოფ მწერლის ტრ. რამიშვილის სასარგებლოთ, საღამო. წარმოდგენილი იქნება მისივე პიესა: „მეზობლები“.

— **ბეჭდვითი საქმის მთავარი მართველობა.** სახალხო განათლების კომისარიატთან დაარსდა სახელმწიფო გამომცემლობის სარედაქციო კოლეგია, ბეჭდვითი საქმის მთავარი მმართველობის უფლებებით. კოლეგია შესდგება 3 წევრისაგან. თავმჯდომარე: სახალხო განათლების კომისარი დ. კანდელაკი, წევრები: რაჟდენ კალაძე და ს. აბაშელი. სარედაქციო კოლეგიის ფუნქციებს შეადგენს წინასწარი განხილვა ყველა სახელმწიფო და კერძო გამოცემათა, გარდა ცეკას გამომცემლობისა. კოლეგიის მიერ განუხილავი მასალები არ დაიბეჭდება.

— **სამეცნიერო დაწესებულებათა მართველობის დაარსება.** სახალხო განათლების კომისარიატთან დაარსდა 21 აპრილიდან რესპუბლიკის სამეცნიერო დაწესებულებათა მმართველობა, რომელსაც ექვემდებარება საქართველოს მუზეუმი, ცენტრალური არქივი, საპედაგოგიო მუზეუმი, რევოლიუციის მუზეუმი, ეროვნული გალერეია, საქართველოს ობსერვატორია, საქართველოს საისტორიო-საეთნოგრაფიო საზოგადოება და სხ. მმართველობის მთავარ გამგეთ დანიშნულია ვუკოლ ბერიძე.

— **ეფემია მესხის იუბილე.** ქართულ თეატრის დამსახურებულ მსახიობ ქალის ეფემია მესხის იუბილეის გადახდა დანიშნულია 14 მაისს. ეფემია მესხი ორმოცი წელიწადია ქართულ სცენას ემსახურება და სასახელოთაც. ეფემია მესხი უკანასკნელათ მძიმე ავადმყოფობის გამო სცენაზე არ გამოსულა. იუბილეის პროგრამა ფართე შინაარსიანია და გამოქვეყნდება ამ დღეებში.

— **„ჰამლეტის“ ახალი დადგმა.** მაისის 15-ს, სახალხო სახლის სცენაზე, ვახტანგ გარრიკის რეჟისორობით, ქართველ მსახიობთა საუკეთესო ძალების მონაწილეობით, სრულიად ახალი ტრაქტოვკით და ახალი მიზანსცენებით დადგმული იქნება შექსპირის ტრაგედია „ჰამლეტი“.

— **ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე.** ზაქარია ჭიჭინაძის იუბილე გაიმართება 21 მაისს.

— **კონ. გამსახურდიას მოხსენება.** დღეს, ხელოვნების სასახლეში გაიმართება მორიგი ლიტერატურული ხუთშაბათი. მოხსენებას წაიკითხავს კონსტანტინე გამსახურდია: „ლიტერატურის ისტორიის მიზნები“. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

— **რუსთაველის თეატრი.** დღეს, რუსთაველის თეატრში წარმოდგენილი იქნება ყიფიანის ისტორიული დრამა „სამეგრელოს მთავარი ლევან“. უმთავრეს როლებს შეასრულებენ: გუნია, ნინო დავითაშვილი, ვ. ანჯაფარიძე, გიორგი დავითაშვილი, აკაკი ვასაძე, მიშა ქიაურელი, შ. ღამბაშიძე, მ. ლორთქიფანიძე და სხ.

— **ვ. გუნიას საღამო.** შაბათს, 29 აპრილს რუსთაველის თეატრში დანიშნულია ქართული სცენის დამსახურებულის მსახიობის ვალერიან ლევანის ძე გუნიას საღამო. დადგმული იქნება მისივე ისტორიული პიესა მეფე ერეკლეს დროიდან ოთხ მოქმედებიანი დრამა „ციხის საიდუმლო“, რომლის ფაბულა ავტორს აღებული აქვს ალექს. სუმბათაშვილის ნაწარმოებიდან.

დღეს თეატრებში.

სახელმწიფო ოპერაში. განახლების შემდეგ პირველად, პრემიერა „გრაფი ლიუქსენბურგი“.

რუსთაველის თეატრში. ქართული წარმოდგენა.

პატარა თეატრში. თურქული წარმოდგენა.

რევოლ. სამხატვრო თეატრში, 1. ლონდა 2. მებალის ძაღლი.

სახალხო სახლში. პეტიპას საღამო.

საკამერო თეატრში. საღამო-კონცერტი.

ცენტრალურ მუშათა კლუბში. დიმოვის საღამო.

ახალ თეატრში. (ცენ. მუშ. კლ.) კინო.

საქართვ. წითელი ლაშქრის ცენ. კლუბში. სომხური წარმოდგენა.

თეატრი ბოგემა. იუმორისტული პროგრამა.

პროფკავშირთა საბჭოს კლუბში. კონცერტი.

კონსერვატორიაში. კონცერტი.

მარქსის სახელობის თეატრში. კონცერტი—ლექცია.

ცირკი. მრავალფეროვანი პროგრამა.

კინო-თეატრში.

არფასტო. ლეოპარდის ტყავი.

„**ზერკალნი**“. მეშჩანური ტრაგედია. მერვე სერია.

კინო არხ. (სოლოლაკში) ნიუიორკის საიდუმლოებანი II სერია.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

შემოდგომის ნათესების მდგომარეობა

(ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოს ცნობებიდან).

ახალციხის მაზრა.

ახალციხის მაზრაში შემოდგომის ხორბლეულობა თითქმის ყველგან დაითესა თავის დროზე. შემოდგომის პურის ნათესის სივრცე შემცირდა; შემცირება გამოიწვია თესლის ნაკლებობამ, რასაც მოწმობს ის, რომ დაუთესავი დარჩა მოხნული და დასათესად გამზადებული მიწები. სათესლე ხორბალის ხარისხი იყო საშუალო. ზოგან ცუდი და შესამჩნევლად ხარჯიანი. მცხოვრებთა უმრავლესობამ მიწის 52 პროც. დასთესა საკუთარი თესლით. ჯეჯილი ამოვიდა მე 16 დღეს. თოვლის დაფარვის წინ ჯეჯილს საშუალო პირი უჩანდა. მარტისთვის ნათესებს საშუალოზედ ნაკლები პირი უჩანდა.

თბილისის მაზრა.

თბილისის მაზრაში ხორბლეულობა დაითესა გვიან. დაგვიანების მიზეზი იყო ცუდი ამინდი უმთავრესად წვიმები და გვალვა. მცხოვრებლებს აკლდათ სათესლე მასალა, რის გამოც გამზადებული მიწები დარჩა დაუთესავი და ნათესების სივრცე შემცირდა. თესლის ხარისხი იყო საშუალო და მეტ ნაწილად სუფთა. მცხოვრებთა უმრავლესობამ დათესა საკუთარი თესლით; დანარჩენებმა ნაყიდით. ჯეჯილი ამოვიდა მე 20 დღეს. თოვლის მოსვლამდე ჯეჯილს ზიანი მიაყენა ცუდმა ამინდმა, უმთავრესად გვალვამ და ქარმა, რის გამოც თოვლის დაფარვის წინ, ჯეჯილი იყო საშუალოზედ ნაკლები. თებერვლისათვის ჯეჯილს საშუალო პირი უჩანდა.

დუშეთის მაზრა.

დუშეთის მაზრაში შემოდგომის ხორბლეულობა დაითესა თავის დროზედ. მხოლოდ ქიწვალის და ახალგორის თემში დაგვიანებით—წვიმების გამო. ნათესების საერთო სივრცე დაახლოვებით გადიდდა 10 პროც., ზოგან კი (ყვავილის თემში) უთესლობის გამო საგრძნობი ნაწილი მოხნული მიწების დაუთესავი დარჩა. სათესლე ხორბალი იყო საშუალო, მაგრამ ხარჯიანი. მცხოვრებთა 57 პროც. დასთესა საკუთარ თესლით, დანარჩენმა ნაყიდით. ჯეჯილი ამოვიდა მე 15 დღეს. თოვლის დაფარვის წინ ჯეჯილს საშუალო პირი უჩანდა. თებერვლისათვის ჯეჯილი იყო საშუალო მდგომარეობაში

სენაკის მაზრა.

სენაკის მაზრაში დაითესა უმთავრესად შემოდგომის პური, თესვას ხელი შეუშალა წვიმებმა და თესლის ნაკლებობამ. შემოდგომის პურის ნათესის სივრცე შედარებით გასულ წელთან საგრძნობლად გადიდდა. დაახლოვებით სოფ. მეურნ ნახევარმა დათესა საკუთარი თესლით, დანარჩენებმა დათესა ნაყიდით, დიდი დახმარება აღმოუჩინა მთავრობამაც სათესლე მასალის მიწოდებით. თესლის ხარისხი იყო საშუალო მაგრამ ხარჯიანი. ჯეჯილი მაზრაში ამოვიდა მე 17 დღეს. თოვლის მოსვლამდე ჯეჯილს ზიანი მიაყენა ცუდმა ამინდმა. თოვლის დაფარვის წინ ჯეჯილი იყო საშუალო მდგომარეობაში, თებერვლისათვის ჯეჯილს საშუალო პირი უჩანდა.

საქართველოს ეკონომიური ცხოვრება

ხე ტყის დამზადება.

საშენებელი მასალა ხე ტყის მასალის დასამზადებელი მთავარი მუშაობა ამ ჟამად სწარმოებს ფოთის, ქუთაისის და სვანეთის რაიონებში, სადაც ამზადებენ შპალებს და სხვა მასალას. დამზადებას გარდა რაიონულ გამგეებისა აწარმოებენ აგრეთვე სატყეო კომიტეტის დამზადებელ განყოფილების აგენტები. აგენტები წარწარჩინებით მუშაობენ მდინარე ცხენისწყალზე და ბაკურიანში. 17 დეკემბრიდან 11 მარტამდე ცხენისწყალზე დამზადდა 600,000 კუბ. ფუტი ანუ 23,000 ხე. დამზადებულ მასალის ნაწილი შემდეგ ჩატანილია წყალზე. ტივების ჩაშვება დაიწყება მაისში და დამთავრდება ოქტომბრამდი. ბაკურიანის რაიონში დამზადებულია 100,000 კუბ ფუტ. ანუ 2,500 ხე. ამ ხეების რკინის გზასთან გადაზიდვას უკვე შეუდგნენ. სვანეთის რაიონში ჯერჯერობით დამზადებულია 5,000 ხე. მიხაილოვო-შორაპნის რაიონში წარმოებს შპალების დამზადება. ამავე რაიონში წარმოებს ლარების შეკეთება, რომლებითაც ჩამოაქვთ შეშა რკინის გზაზე. შეშის დამზადება უკვე დაიწყო.

შეუდგნენ ტივებით ხეების წამოღებას აწყურ აბასთუმანის რაიონში. წინათ ამ რაიონში დამზადებული იყო 850 ცალი ხე. აგენტი უკვე შეუდგა ამ რაიონში დამზადებულ 1,500 ხეების წყლით გაგზავნას.

შპალების დამზადება.

სატყეო კომიტეტი შპალების დასამზადებელ მუშაობას უმთავრესად აწარმოებს ბორჯომის, სვანეთის, ფოთის და ქუთაისის რაიონებში.

დამზადებული შპალები

რაიონები:	1921 წ ოქტომბერი	1922 წ.	სულ
ფოთის	— „	„ 150,00	150,000.
ქუთაისის	50,000	10,000	60,000
სვანეთის	50,000	50,000	100,000.
ბორჯომის	„	„ 15,000	15,000.
საგარეჯოს	„	„ 5,000	5,000
ყვარელის	3,500	—	3,500.

ამრიგად დამზადებულ შპალების რიცხვი ამ ჟამად აღწევს 333,500 ცალს.

ჩაბარებულ შპალები რკინის გზათა სამმართველოს:

რაიონები:	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი
ფოთის	25,575	„	„	15,000
სუმბათოვის	„	5707	3317	„
ბორჯომის	„	1275	3682	„
ყვარელის	„	„	225	„
ქუთაისის	„	„	5701	„
	25,575	6982	12,985	15,000.

ეს არის ამ წლის პირველი ოთხი თვის განმავლობაში ჩაბარებულ შპალების რიცხვი.

ს. მ ჟ. ს.

ტყიბულ-შორაპნის მრეწველობა

პირველ აპრილიდან ტყიბულის ქვა-ნახშირის მაღაროები და შორაპნის ცეცხლის მძლე ანგურის ქარხანა გაერთიანებულია ერთ სამართველოთი, რომელთა სათავეშიც დგას განსაკუთრებული გამგეობა.

ტრანსპორტის მდგომარეობა

(ცენტრალური საზღვაო ტრანსპორტის განყოფილება)

ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის განყოფილების სამეურნეო ანგარიშზედ გადასვლამ, რომელიც მოხდა გასულ თებერვალში ჩააყენა აღნიშნული განყოფილება საკმაო ცუდ პირობებში. იმ ორგანიზაციებმა და დაწესებულებებმა, რომლებიც სარგებლობდენ სატრანსპორტო საშუალებით ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის განყოფილებიდგან, ვერ შესძლეს სავსებით გადახდა მათი ხვედრი თანხისა. საბრუნავი საშუალებათა უქონლობა აფერხებს ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის განყოფილების მუშაობას. განყოფილებისადმი დავალიანება სხვა და სხვა ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისა აღწევს ორ მილიარდ მანეთს გასული დროის კურსით. ეხლა ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის განყოფილების მმართველობის წინაშე სდგას გადაუდებელი ამოცანა მკვიდრი საფუძვლის შექმნისა, ისეთი სახის წარმოებების დაარსების საშუალებით, რომელიც შემოიტანს უდიდეს და მუდმივ სარგებელს.

ასეთი სახის წარმოებას წარმოადგენენ ტრანსპორტის საექსპედიციო კანტორები. ეს კანტორები, სადაც სწარმოებს ტვირთის მიღება და გადაგზავნა უკვე გახსნილია თბილისში და ბათუმში.

ახლო მომავალში ასეთი კანტორები დაარსდება საქართველოს ყველა ნავთსადგურებში. შემდეგში კანტორების ქსელი უნდა გავრცელდეს აგრეთვე საქართველოს საზღვრების გარეშე. აქ პირველ რიგში უნდა მოეწყოს კანტორა ბაქოში, შემდეგ როსტოვში და ნოვოროსიისკში. რაც შეეხება ბაქოს და ნოვორასიისკის კანტორებს ამათ უნდა ითამაშონ უდიდესი როლი. მთელი ვაჭრობა სპარსეთის და შუა აზიის დასავლეთთან ხდება ბაქოს საშუალებით, რის გამოც ბაქო ბათუმის კანტორების კავშირმა უნდა მოგვცეს უდიდესი შედეგები. ნოვორასიისკის კანტორამ უნდა აწარმოვოს საქონლის გადაზიდვა დასავლეთიდგან სპარსეთში და შუა აზიაში ზღვით, ბათუმის გზით, საიდგინაც ბაქოს საშუალებით გადაიგზავნება დანიშნულებისამებრ.

ამ კანტორების გარდა განზრახულია მოეწყოს კანტორები სპარსეთში და შუა აზიაში. პირველი, ალბათ გაიხსნება ჩარდჟუიში, მეორე ასტარაში—კანტორები რომლებიც ეხლა მუშაობენ, ღებულობენ თავის თავზე გადაზიდვას ტვირთის არა მარტო რკინის გზით, არამედ შარა გზითაც. თბილისსა და კახეთს შორის სწარმოებს გამუდმებით ტვირთის გადაზიდვა შარა გზით. ეს აიხსნება მით, რომ ტვირთის გადამგზავნები უფრო ხელსაყრელად სთვლიან, რკინის გზის ტარიფის გადიდების შემდეგ ისარგებლონ შარა გზის ტრანსპორტით.

შეუდგენ შარა გზით რეგულიარულ მოძრაობის აღდგენას ახალციხე ახალქალაქსა და ბორჯომ აბასთუმანს შორის.

საავტომობილო ტრანსპორტის მდგომარეობა ასეთია: ცენტრალურ საზღვაო ტრანსპორტის განყოფილებას მიღებული აქვს სამი ბაზა: თბილისის, ბორჯომის და ბათუმის. ორი უკანასკნელი ასწორებს თავიანთ ხარჯებს. თბილისისამ კი აქამდე ვერ შეძლო ეს, რადგანაც მას უხდება ტვირთის გადაზიდვა უმეტესად დაწესებულებებისათვის, რომლებიდანაც ანგარიშის გასწორება გვიანდება, მაგრამ მაისისათვის ეს საკითხიც საბოლოოდ მოგვარდება. როცა ვლაპარაკობთ საავტომობილო კავშირზედ, უნდა აღვნიშნოთ, რომ ეხლა შეუდგენ საფოსტო სამოგზავრო და საბარგო მოძრაობის მოწყობას საქართველოს სამხედრო გზაზედ. ამნაირადვე აღდგენილ იქნება ზაფხულისათვის კავშირი თბილისსა და საგარაკო ადგილებს შორის.

რაც შეეხება კახეთს, საავტომობილო კავშირი აღდგება გზების შეკეთების შემდეგ.

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობა რაჭაში.

იანვრის და თებერვლის განმავლობაში სისტემატიურმა ყრილობებმა რაიონებში, მაზრებში და მთელი რესპუბლიკის მაშტაბით რამოდენიმედ შეანელა ყოველდღიური როგორც საბჭოთა სააღმშენებლო, აგრეთვე პარტიული მუშაობა.

პარტიული მუშაობა ამ ბოლო დროს ისევ ფეხზე დადგა, გამოცოცხლდა.

აპრილის პირველ რიცხვებში ჩატარდა ყველა რაიონებში უპარტიო ქალთა კონფერენციები და ცხრა აპრილში კი სამაზრო კონფერენცია. სულ იყო მოწვეული გადამწყვეტი ხმის უფლებით 21 დელეგატი. გამოცხადდა 19-ტი, ხოლო ორი სათათბირო ხმით. სამაზრო კომფერენცია გახსნა პარტკომის შენობაში სამაზრო პარტკომის წევრმა, ქალთა განყოფილების გამგემ ამხ. ნ. ინუქიძემ მისასალმებელი სიტყვით, 9 აპრილში.

შემდეგ მისასალმებელი სიტყვებით, გამოვიდენ სამაზრო პარტკომის სახელით პასუხის-მგებელი მდივანი ამხ. დ. ნასარიძე, და სამაზრო აღმასკომის თავმჯდომარე პ. წულუკიძე, პრეზიდიუმში არჩეულ იქნენ სამი ქალი ამხ. ამხ. მატრონა კერვალიშვილი, სონია ლანდია, და ოლღა ჯაფარიძისა, (ეს უკანასკნელი უპარტიოა).

მდივნებათ ამხ. ნინა ლეთოლანი და მ. მეტრეველი. კონფერენციამ ერთხმათ დაადგინა გაეგზავნოს მისასალმებელი დეპეშები ამხ. ფილიპე მახარაძეს და ცეკას განყოფილებას.

დღიურ წესრიგში მიღებულ იქნა შემდეგი კითხვები.

1) საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობა გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით (მომხსენებელი ამხ. დ. ნასარიძე), 2) ოჯახური, სოციალური, უფლებრივი და ყოფა ცხოვრებითი მდგომარეობა ქალისა. (მომხ. პ. წულუკიძე), 3) საბჭოთა ხელისუფლება და ქალის განთავისუფლება (მომხ. ნ. ინუქიძე). 4) კომუნისტური ინტერნაციონალი და აღმოსავლეთის ქალი (მომხ. ა. კობახიძე და ი. მეტრეველი) მოხსენებაზე გამოტანილი იქნა შესაფერი რეზოლიუციები, საერთოთ მოხსენებებმა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კომფერენციის დამსწრეებზე. შემდეგ მოხდა ბაქოში აღმოსავლეთის უპარტიო ქალთა ყრილობაზე გასაგზავნი დელეგატების არჩევნები. არჩეულ იქნა ორი დელეგატი ამხ. ნინა ლეთოლანისა და ოლღა ჯაფარიძისა. (უპარტიო). უნდა აღვნიშნოთ, რომ რაჭაში ეს მეორე უპარტიო ქალთა კომფერენცია მოხდა, რომელმაც საერთოთ დასტოვა ისეთი შთაბეჭდილება, რომ დიდი ნაბიჯია წინ გადადგმული ამ ერთი წლის განმავლობაში ეტყობოდა, კონფერენციაზე ყველა დამსწრე დელეგატ ქალებს, და აგრეთვე მრავალრიცხოვან სტუმარ ქალებსაც, რომ ისენი ძალზე ფხიზლათ და დიდის ინტერესით ეკიდებიან ამიერიდან ქალების მამაკაცთან გათანასწორების იდეას—და მის პრაქტიკულათ განხორციელებას. აქვე აღსანიშნავია აგრეთვე ის, რომ მათში შეჭრილია შეგნება, ერთად ერთი მთავრობა, რომელიც იცავს მშრომელ მასსების ინტერესებს, საბჭოთა მთავრობაა.

სამაზრო პარტკომის პასუხისმგებელი მდივნის ამხ. დ. ნასარიძის უკანასკნელი მისასალმებელი სიტყვით, რომელშიაც უსურვა კონფერენციაზე დამსწრეთ მეტი სიფხიზლე, მეტი შეკავშირება და გაბედული ბრძოლა მამაკაცთან ერთად პროლეტარიატის და მისი მოწინავე რაზმის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, კომფერენცია ღამის 11 ტ საათ. ინტერნაციონალის სიმღერით დაიშალა.

სამაზრო პარტკომის გადაწყვეტილების თანახმად, 17 აპრილიდან დაიწყო მთელი მაზრის მაშტაბით დიდი პოლიტიკური კამპანია.

ამ მიზნისათვის პარტკომმა გაუკეთა მობილიზაცია 15-ტ ამხანაგს, დაურიგდა ყველას შესაფერი თეზისები. მაზრაში ოცდა ცხრა თემია, თითო ამხანაგს დაევალა ორ ორ თემში მოხსენებების გაკეთება. პოლიტიკური კამპანიის მთავარი შინაარსი იყო საერთაშორისო პოლიტიკური მდგომარეობის, განსაკუთრებით გენუას გარშემო შექმნილი მდგომარეობის. პირველი ლეგალური პარტიულ და საბჭოთა ყრილობებზე გადაწყვეტილ საჭირბოროტო კითხვების გაშუქება, მაგალითათ: მიწის რეფორმის, ფინანსიური პოლიტიკის, ახალი ეკონომიური პოლიტიკის, წითელი არმიის შექმნის, დეზერტირების წინააღმდეგ, შიმშილის წინააღმდეგ ბრძოლა, თესვის კამპანიის ჩატარება, გზების შეკეთება და მრავალი სხვა და სხვა.

უნდა ვაღიაროთ, რომ ამ დიდი კამპანიის ჩატარებამ სრულიად გაჰფანტა ის შავი ბურუსი რეაქციისა, რასაც ჩვენი დაუძინებელი მტრები უხვათ ავრცელებდნენ გენუას კონფერენციასთან დაკავშირებით.

აგრეთვე საშინელმა ეკონომიურმა კრიზისმა წელში გატეხა მშრომელი მასსა, არამც თუ მარტოკა უპარტიო მასსა, თვით პარტიულ მასაშიაც ბევრი გაუგებრობა და უკმაყოფილება დაბადა. ამ კამპანიის ჩატარებამ ერთგვარი შუქი მოფინა უპარტიო მასსასთან ერთად თვით პარტიის მასის რწმენასაც. გაიწმინდა ჯეროვნათ მოწამლული ატმოსფერა და ამნაირათ ნორმალურ კალაპოტში დგება პარტიული მუშაობა.

ყველა თემებში ჩატარდა ეს პოლიტიკური კამპანია, დამთავრდა 23 აპრილს, რამაც საერთოთ დიდი შთაბეჭდილება დასტოვა მასაში. განსაკუთრებით საინტერესო იყო მასისათვის და დიდი ყურადღებით ისმენდნენ გენუას გარშემო მოქსოვილ რეაქციის მახინაციებს, შავ ზრახვებს თუ რა თვალთმაქცობას იწევა კონტრრევოლიუცია, რომ მეტი დათმობის გზაზე დააყენოს საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლები.

ვინაიდან დიდ გაუგებრობას ჰქონდა ალაგი სხვა და სხვა თემებში მიწის რეფორმის გარშემო, განსაკუთრებით ისმენდა მასსა მიწის რეფორმაზე განმარტებებს და სხვა. ყველა მიტინგებზე მასას გამოჰქონდა შესაფერი რეზოლიუციები. ყველგან ისმოდა მტკიცე კილო ჩვენი მთავრობის გარშემო მჭიდროდ შემოკრებისა.

საერთოთ პარტიულ მუშაობას ძალზე აბრკოლებს უკიდურესი გაჭირვება ეკონომიურ ნიადაგზე. სიმშილობამ მიაღწია თავის უმაღლეს საფეხურს.

სამწუხაროთ არის ერთი დიდი დაბრკოლება სამაზრო პარტკომის მოქმედებაში, რაც იმაში გამოიხატება, რომ დღემდის ვერ მოვახერხებია ერთი პარტიული შკოლა გაგვეხსნა ოცდა ათი კურსანტით. ამის მთავარი დამაბრკოლებელი მიზეზი იმაშია, რომ სურსათის სანოვაგის საჭირო ლიტერატურის უქონლობა და სხვა პირობები არ გვიწყობენ ხელს. ეს ნაკლი, ე. ი. მაზრაში პარტშკოლის უქონლობა მეტათ აბრკოლებს საქმეს, რომ რამოდენიმე ამხანაგს მაზრაშივე მივაღებინოთ შესაფერი სწავლა და ამით თავიდან ავიცდინოთ ის დიდი ხარჯები და მრავალი სხვა დაბრკოლებანი, რაც სამაზრო პარტკომს უჯდება რომ დროზე ცენტროპარტშკოლას მიაწოდოს რამოდენიმე კურსანტი.

დ. ნასარიძე.

პროვინციაში

სოფ. ზედა სიმონეთი

(ქუთ. მაზრა.)

სოფ. ზ. სიმონეთი მთა გორიანი ადგილია. აქ კარგი მოსავალი იცის, განსაკუთრებით ღვინო ბევრი მოდის, მაგრამ წარსულ წელიწადმა დიდი მოუსავლობა დაგვატეხა. თავზე და ხალხი გაჭირვებას განიცდის შიმშილისაგან. თუ რამე გააჩნდათ გაყიდეს ან სიმინდზე გადაცვალეს, წელს მუშაობის საქმე კარგათ არის დაყენებული, ყანები ნახევარზედ მეტი დახნული არის და ვენახების თოხნა თავდება. სწავლა-განათლების მხრივ ეს სოფელი არ არის ჩამორჩენილი შედარებით მახლობელ სოფლებთან აქ არსებობს სამი შრომის სკოლა და ცენტრში ერთი მთლიანი სკოლა, აგრეთვე არის წიგნთ-საცავ სამკითხველო, რომლის საქმე ძლიერ ცუდათ არის დაყენებული. აგრეთვე კოოპერატივების საქმეც ვერ მიდის კარგად. ბევრჯერ [illegible] [illegible], მაგრამ აქედან არაფერი გამოსულა. ადგილობრივ ინტელიგენცია—სოფლის მასწავლებლები ძლიერ გულგრილობას იჩენენ ისეთ დიად საქმეში, როგორიც არის სამკითხველო და კოოპერატივები.

მ. მაჩიტაძე.

ჩვენი ფოსტა

ახალ სენაკში, ა. მ—ს. არ გამოგვადგა.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დეკრეტი № 1.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი—სანახირო სავაჭრო-სამრეწველო საქონელზე გადასახადის დაწესების შესახებ.

შინაური პირუტყვის გადამდებ სენთან,—განსაკუთრებით კი საქონლის ჭირთან საბრძოლველ საშუალებათა გასაძლიერებლად, — საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაწესებულ იქნეს 1922 წლისათვის სანახირო სავაჭრო სამრეწველო სხვილფეხა და წვრილფეხა საქონლისათვის და აგრეთვე ღორისათვის გადასახადი სამი პროცენტის რაოდენობისა საქონლის ნორმალური შეფასების მიხედვით.

შენიშვნა: გადასახადი ესე არა ვრცელდება სასოფლო-სამეურნეო საქონელზე.

2. საქონლის ნორმალურ ფასს აწესებს მიწათ მოქმედების სახალხო კომისარიატი პერიოდულად—არსებული საბაზრო ფასების მიხედვით.

3. დეკრეტი ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ს. ქავთარაძე.**

ფინანსთა სახალხო კომისრის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. სალარიძე.**

1922 წ. აპრილის 25.
ტფილისი—სასახლე.

სარედაქციო კოლეგია.

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

გაზეთებზე ხელის მომწერთ: „პრავდა გრუზიი“-ს (რუსულ ენაზე) „კომუნისტი“-ს (ქართულ ენაზე), „კარმირ ასტღ“-ის (სომხურ ენაზე). „მიწის მუშა“-ს (ქართულ ენაზე ორჯელ კვირაში). „ახალი აზრი“-ს (თურქულ ენაზე ორჯელ კვირაში)

ვსთხოვთ განაახლონ ხელის მოწერა მაისისათვის არა უგვიანეს 30 აპრილისა, ვინაიდგან პირველ მაისამდე ვინც ხელის მოწერის ფასს არ გადაიხდის გაზეთი არ გაეგზავნება.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ ყოველი თვის პირველიდან მეორე თვის პირველამდე, გამონაკლის შემთხვევაში 1 დან ორამდე (15—1-მდე ან წინააღმდეგ).

ხელის მოწერა მიიღება ტრესტის კანტორაში, რუსთაველის პროსპ. № 24. მეორე სართული. 9 დან 2 საათამდე დღის. აქვე მიიღება განცხადებები თბილისის ყველა გაზეთებში.

პროვინციელ აგენტთა საყურადღებოთ

ყველა პროვინციელ აგენტებს ევალებათ დაუყოვნებლივ და სრულიად გაუსწორონ ანგარიში გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორას (რუსთაველის პროსპ. № 24). მიღებულ გაზეთების ანგარიშის გაუსწორებლობისათვის 1 მაისამდე, დაჰკარგავენ წარმომადგენლობის უფლებას და მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში.

1 მაისიდან გაზეთი „პრავდა გრუზიი“ გაიცემა 10 პროცენტის უკან დაბრუნების უფლებით, რისთვისაც აგენტები ვალდებულია თავის დროზე აცნობონ გაზეთის ტრესტს თითეულ გაზეთის საჭირო რაოდენობა. მომავალი ანგარიშის გასწორება ტრესტის განტორასთან უნდა ხდებოდეს ორჯერ თვეში. ფული უნდა იგზავნებოდეს ფოსტით ტრესტის კანტორის მისამართით ან სახალხო ბანკში ტრესტის მიმდინარე ანგარიშზე № 649.

ტრესტის მთავარი კანტორა.
(3—2)

საქართველოს დამშეულთა დამხმარე კომიტეტისაგან

მიუხედავათ რამდენიმეჯერ გამოცხადებისა სხვა და სხვა დაწესებულებები და პირები, რომლებმაც მოაწყვეს საქართველოს დამშეულთა სასარგებლოთ საღამოები, კონცერტები და შეაგროვეს შემოწირულებები, ჯერაც არ წარმოუდგენიათ ანგარიშები და ფული მთავარ კომიტეტში.

ამით უკანასკნელად ვაცხადებთ რომ თუ 1 მაისამდე ამა წლის არ იქმნა წარმოდგენილი ზემოთ აღნიშნული ანგარიშები და ყოველივე შემოწირულებანი, დამნაშავენი იქნებიან მიცემული სასტიკ პასუხისგებაში.

მთავარი კომიტეტი.
(1—1)

საქართველოს დამშეულთა მთავარ კომიტეტისაგან

საქართველოს დამშეულთა მთავარი კომიტეტი გადავიდა ახალ ბინაზე მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის შენობაში. (ყოფილი კადეტთა კორპუსის შენობა) ტელ. № 15—46.

(6—4)

მხატვრული კოლექტივი „სკიფი“

არსებული ს. ს. ს. რ. პოლიტიკურ განათლების მთავარ სამმართველოსთან, პუშკინის პასაჟი. ტელ. 8—04.

პირველი მაისის დღესასწაულისათვის

ღებულობს დაკვეთას

შენობების დეკორაციულად მორთვად

ყვავილების გვირგვინები
ილლიუმინაცია
ტრანსპარანტები
პორტრეტები
პლაკატები
პანნო

სასწრაფო დამზადება მხატვრული დროშების

სახელმწიფო და სამხედრო დაწესებულებებს ფას დაკლებით.

(3—2)

დაიკარგა

საპენსიო წიგნაკი № 1936 სოფიო ტადლევის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულათ.

(1—1)